

ვერსიუმი თეოფილი

გერმანია

I



გამომცემლობა «მეცნიერება»

თბილისი

1967

რ ე ლ ა ქ ი ი ს ა გ ა ნ

ვარლამ თოფურიას მონოგრაფია „სვანური ენა. I. ზმნა“ პირველად 1931 წელს გამოვიდა; დიდი ხანია იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იყო ქცეული.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ საჭიროდ მიიჩნია ხელმეორედ გამოცემულიყო ეს ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც ყოველი ქართველოლოგის სამაგიდო წიგნს წარმოადგენს.

წიგნის წყობა, კორექტურების სწორება და პირველი 16 თაბახის ბეჭდვა ავტორის სიცოცხლეშივე იყო დამთავრებული. ავტორს ტექსტში ცვლილება არ შეუტანია.

მეორე გამოცემას ერთვის რეზიუმე და სარჩევი რუსულ ენაზე და სიტყვათა და ფორმანტთა საძიებელი.

სამწუხაროდ, ავტორი ვერ მოესწრო წიგნის გამოსვლას.^ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ვ. თოფურიას შრომების გამოცემა დაევალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. ამ დადგენილების შესაბამისად ენათმეცნიერების ინსტიტუტის შუამდგომლობითა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების დასტურით მონოგრაფია „სვანური ენა. I. ზმნა“ გამოდის, როგორც ვ. თოფურიას შრომების პირველი ტომი.

შემდგომ ტომებში შევა ავტორის სხვა გამოკვლევები ქართველურ ენათა და აგრეთვე მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ.

სარედაქციო კოლეგია: ივ. გიგინეიშვილი,

გ. თოფურია, ქ. ლომთათიძე,
ვლ. ფანჩვიძე (თავმჯდომარე),
ივ. ქავთარაძე, მ. ქალდანი,
თ. შარაძენიძე, არნ. ჩიქობავა



სვანური ენა

I

გაგა

СВАНСКИЙ ЯЗЫК

I

ГЛАГОЛ

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვერდი
. VII—XII
. XIII—XIV
XV—XVIII
. XIX
. XXII

ხარჩვევით ქართულ და რუსულ ენაზე . . .	1
შემოკლებიანი ქართულ და რუსულ ენაზე .	1
ლიტერატურა	1
წინასიტყვაობა	1
წინასიტყვაობა მეორე გამოცემისა .	1
თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი: პირთა ფორმანტები (§§ 1-7) . . .	1
1. სუბიექტური აფიქსები (§ 1)	1
სუბიექტურ აფიქსათათვის (§ 2)	5
სუბიექტურ პრეფიქსებთან დაკავშირებული ფონეტიკური მოვლენები (§ 3)	10
2. ობიექტური აფიქსები (§ 4)	15
S ₂ და O ₂ ხ- ად- პრეფერბთან (§ 4, შწშ.)	17
აფიქსები რელატიურ ზმნებში (§ 5)	21
ობიექტური აფიქსების გენეზისისათვის სვანურში (§ 6)	25
ფონეტიკური მოვლენები ობიექტურ პრეფიქსებთან დაკავშირებით (§ 7) .	29
თ ა ვ ი მ ე ო რ ე: ზმნების კლასიფიკაცია (§§ 8-9)	35
ზმნები მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით (§ 8)	35
ზმნათა ჯგუფები (§ 9)	38
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე: ზმნის საქცევი (§§ 10-13)	43
პირველი ჯგუფის ზმნათა ქცევები (§ 11)	43
მეორე ჯგუფის ზმნათა ქცევები (§ 12)	48
მესამე ჯგუფის ზმნათა ქცევები (§ 13)	50
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე: პრეფერბები (§§ 14-19)	52
პრეფერბთა ფუნქცია (§ 15)	53
ფონეტიკური მოვლენები პრეფერბებთან დაკავშირებით (§ 16)	54
პრეფერბები დიალექტების მიხედვით (§ 17)	60
ჟ ი, ჩ უ, ს გ ა / ს კ ა და ქ ა პრეფერბთა თავისებურებანი (§ 18)	60
პრეფერბთა გენეზისისათვის (§ 19)	63
თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე: ღ რ ო (§§ 20-60)	71
აწმყო (§ 21)	71
ნასახელარი ზმნა (§ 22)	72
ნამყოფსრული ბალსხემოურში (§ 23)	73
" უშგულურში (§ 24)	86
" ბალსქვემოურში (§ 25)	88
" ლაშხურში (§ 26)	95
" ლენტეხურში (§ 27)	98
ნამყოფსრულის ფორმანტთა ფუნქციისა და გენეზისისათვის (§ 28)	102
კონიუნქტივი I (§ 29)	106
მყოფადსრული (§ 30)	112
მყოფადსრული (§ 31)	115
პირობითი (§ 32)	125

პირობითის ფორმანტთა სადაურობისათვის (§ 33)	128
თურმეობითი I (§ 34)	130
თურმეობითი II (§ 35)	131
აორისტი (§§ 36-40)	136
მარტივ- და რთულფუძიანი ზმნები (§ 41)	161
კონიუნქტივი II (§ 42)	164
ბრძანებითი (§ 43)	167
ნამყოსრული (§ 44)	169
ნამყო წინარეწარსული (§ 45)	173
კონიუნქტივი III (§ 46)	176
-უ, -ო და... ნაწილაკთა დართვა (§ 47), შემეველი ზმნის დართვა (§ 48)	178
ვნებითის წარმოება დროთა მიხედვით (§§ 49-59)	179
ვნებითის წარმოება ნამყოსრულში (§ 50)	182
„ კონიუნქტივ Iში (§ 51)	184
„ მყოფადუსრულში (§ 52)	185
„ მყოფადსრულში (§ 53)	186
„ პირობითში (§ 54)	189
„ თურმეობითი Iსა და IIში (§ 55)	191
„ აორისტში (§ 56)	194
„ კონიუნქტივ IIში (§ 57)	199
„ დროთა III ჯგუფში (§ 58)	203
„ აღწერითი ფორმები (§ 59)	204
საშუალო ზმნების წარმოება დროთა მიხედვით (§ 60)	207
თ ა ვ ი მ ე ე ქ ე ს ე : ხიტყვათწარმოება (§§ 61-67)	211
მასდარი, განყენებული სახელი (§ 61)	211
მიმღება: აწმყოს, მყოფადის, ნამყოსი და უარყოფითი (§ 62)	213
მასალის, დანიშნულების სახელი (§ 63)	224
ნახმნარ სახელთაგან კვლავ სახელის წარმოება (§ 64)	226
ნახმნარ სახელთათვის (§ 65)	229
ფორმანტები ზმნასა და ნახმნარ სახელში (§ 66)	231
სიტყვის მაწარმოებელ ფორმანტთათვის (§ 67)	238
II ჯგუფის ზმნისათვის (§ 68)	242
თ ა ვ ი მ ე შ ე ი დ ე : დფიქტურო ზმნები (§§ 69-70)	243
1. შემეველი ზმნა (გვ. 243), 2. არი, არი (244), 3. ზი, 4. ხედა, 5. ღერი (245), 6. იზბი, 7. ითრე (247), 8. ხაჭტდი, 9. ყვლე (248), 10. ხატყცი, 11. ხაჩო, 12. ზი წაქსი (249): § 69.	
1. ხაყა, 2. ხულტა/ე (250), 3. ხაკუ, 4. აღგარი, 5. იგნალ (251), 6. ზი წაქსი (252), 7. აგდი აგდესკი, 8. ხოლი ხოლესკი, 9. იქტთერ, 10. იხო, 11. იშ-გუმ, 12. ხაჯეს (253): § 70.	
ტ ა ბ უ ლ ე ბ ი	
სუბიექტური აფიქსები: I... გვ. 4, II... 5, 247, III... 9, IV	10
ობიექტური აფიქსები: V	17
სუბიექტურ-ობიექტური აფიქსები რელატიურ ზმნებში: VI	23
ობიექტური პრეფიქსები: VII	29
სვანური ზმნა: VIII	51
ნამყოსრულის ფორმანტები ბალსემოურის მიხედვით: IX	86
„ „ დიალექტების მიხედვით: X	100-101
კონიუნქტივი Iის ფორმანტები დიალექტების მიხედვით: XI	110
მყოფადის ფორმანტები დიალექტების მიხედვით: XII	124-125

პირობითის ფორმანტები დიალექტების მიხედვით: XIII .	129
აორისტის ფორმანტები: XIV	161
ნიშუშები ტექსტებიდან	
ინკლუზიე-ექსკლუზივისათვის	32-34
ნაყოუსრულისათვის .	87-88
მყოფადსრულისათვის	118-119
თურმეობითათვის	135
მყოფადისათვის	188-189
ტაბულა	I, II
ხვანური ენა (რეზიუმე რუსულ ენაზე)	255
საძიებელი	294

О Г Л А В Л Е Н И Е

Оглавление на грузинском и русском языках .	VII—XII
Сокращения на грузинском и русском языках	. XIII—XIV
Литература	. XV—XVIII
Предисловие XIX
Предисловие ко второму изданию .	XXII
Глава первая: Личные форманты (§§ 1-7)	1
1. Субъектные аффиксы (§ 1)	1
К вопросу о субъектных аффиксах (§ 2)	5
Фонетические явления в связи с субъектными префиксами (§ 3) .	10
2. Объектные аффиксы (§ 4)	15
S ₂ и O ₂ b- x- при превербе эq- ad- (§ 4, прим.) .	17
Аффиксы в релятивных глаголах (§ 5)	21
К генезису объектных аффиксов в сванском языке (§ 6)	25
Фонетические явления в связи с объектными префиксами (§ 7) .	29
Глава вторая: Классификация глаголов (§§ 8-9)	35
Глаголы с морфологической и синтаксической точек зрения (§ 8) .	35
Группы глаголов (§ 9)	38
Глава третья: Версии глагола (§§ 10-13)	43
Версии глаголов первой группы (§ 11)	43
Версии глаголов второй группы (§ 12)	48
Версии глаголов третьей группы (§ 13)	50
Глава четвертая: Превербь (§§ 14-19)	52
Функции превербов (§ 15)	53
Фонетические явления в связи с превербамн (§ 16)	54
Превербь по диалектам (§ 17)	60
Особенности превербов ჯი ზი, ზუ ჸი, ზაჲ/ზაჲ sga/ska и ჯა კა (§ 18) .	60
К генезису превербов (§ 19)	63
Глава пятая: Время (§§ 20-60)	71
Настоящее время (§ 21)	71
Отыжешный глагол (§ 22)	72
Прошедшее несовершенное в верхнебальском наречии (§ 23) .	73
Прошедшее несовершенное в ушгильском говоре (§ 24)	86
Прошедшее несовершенное в нижнебальском наречии (§ 25)	88
Прошедшее несовершенное в лашхском наречии (§ 26)	95
Прошедшее несовершенное в лентехском наречии (§ 27)	98
К вопросу о генезисе и функции формантов прошедшего несовершенного (§ 28)	102
Копьюнктив I (§ 29)	106
Будущее несовершенное (§ 30)	112
Будущее совершенное (§ 31)	115

Условное наклонение (§ 32)	125
О происхождении форматов условного наклонения (§ 33)	126
Заглазное I (§ 34)	130
Заглазное II (§ 35)	131
Аорист (§§ 36-40)	136
Глаголы с простой и сложной основой (§ 41)	161
Конъюнктив II (§ 42)	164
Повелительное наклонение (§ 43)	167
Результативное I (§ 44)	169
Результативное II (давнопрошедшее) (§ 45)	173
Конъюнктив III (§ 46)	176
Присоединение частиц -ჟ -ი. -ლ -ოჲ... (§ 47)	178
Присоединение вспомогательного глагола (§ 48)	178
Образование страдательного залога по временам (§§ 49-59)	179
Образование страдательного залога в прошедшем несовершенном (§ 50)	182
Образование страдательного залога в конъюнктиве I (§ 51)	184
Образование страдательного залога в будущем несовершенном (§ 52)	185
Образование страдательного залога в будущем совершенном (§ 53)	186
Образование страдательного залога в условном наклонении (§ 54)	189
Образование страдательного залога в заглазном I и II (§ 55)	191
Образование страдательного залога в аористе (§ 56)	194
Образование страдательного залога в конъюнктиве II (§ 57)	199
Образование страдательного залога в третьей группе времен (§ 58)	203
Описательные формы (§ 59)	204
Образование глаголов среднего залога по временам (§ 60)	207
Глава шестая: Словообразование (§§ 61-67)	211
Масдар, отвлеченное имя (§ 61)	211
Причастия настоящего, будущего, прошедшего времен, отрицательное (§ 62)	213
Имя материала, имя назначения (§ 63)	224
Образование имен от отглагольных имен (§ 64)	226
К вопросу об отглагольных именах (§ 65)	229
Форманты в глаголе и отглагольном имени (§ 66)	231
О словообразовательных формантах (§ 67)	238
О глаголах второй группы (§ 68)	242
Глава седьмая: Дефектные глаголы (§§ 69-70)	243
1. Вспомогательный глагол (стр. 243), 2. არი, არი არი, არი (244), 3. ზი zi,	
4. ხედა xeda, 5. ღვი ვი (245), 6. იზბი izbi, 7. ითრე itre (247), 8. ხატვდი	
xatvdi, 9. ყელე qele (248), 10. ხატყცი xatqci, 11. ხზრა ხაზო, 12. ზი აქვსგი	
აქ აქვსგი (249): § 69.	
1. ხაყა ხაყა, 2. ხუტაჲე ხუტა/ე (250). 3. ხაჟო ხაჟო, 4. ადგარი	
adgari. 5. იგწლ იგწლ (251), 6. ზი აქვსგი აქ აქვსგი (252), 7. ავლი 'ა'ვლესგი	
jodi 'j'ადესგი, 8. ხოლი ხოლესგი ხოი ხოლესგი, 9. იქვთერ ikvter, 10. იხო	
იხო, 11. იხვტეხ იხვტეხ, 12. ხაჟეხ ხაჟეხ (253): § 70	

Т а б л и ц ы

Субъектные аффиксы: I... стр. 4, II... 5, 247, III... 9, IV	10
Объектные аффиксы: V	17
Субъектно-объектные аффиксы в релятивных глаголах: VI	23
Объектные префиксы: VII	29

Сванский глагол: VIII	51
Форманты прошедшего несовершенного времени по данным верхнебальского наречия: IX	86
Форманты прошедшего несовершенного по диалектам: X	100-101
Форманты конъюнктива I по диалектам: XI	110
Форманты будущего времени по диалектам: XII	124-125
Форманты условного наклонения по диалектам: XIII	129
Форманты аориста: XIV	161
Образцы текстов с примерами	
Категории инклюзива-эксклюзива	32-34
Прошедшего несовершенного времени	87-88
Будущего совершенного времени	118-119
Заглазных форм	135
Будущего времени	188-189
Таблицы	I, II
Сванский язык (Резюме на русском языке)	255
Указатель	294

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

ე ნ ე ბ ა , დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ ა

- ბალსხ. = ბალსხემ. = ბხ.
- ბალსქვ. = ბალსქვემ. = ბქვ.
- ბეჩ. = ბეჩოური
- ბზ. = ბალსხემოური
- ბქვ. = ბალსქვემოური
- ეცერ. = ეცრ.
- ეცრ. = ეცერული
- ზსვ. = ზემოსვანური
- თვრ. = თაერაული
- იფრ. = იფარული
- ლახმ. = ლხმ.
- ლენტ. = ლენტეხ. = ლნტ.
- ლნტ. = ლენტეხური
- ლშხ. = ლაშხური
- ლხმ. = ლახამულური
- სვ. = სვან. = სვანური
- უშგ. = უშგულური
- ქ. = ქართ. = ქართული
- ქვემოსვ. = ქვემოსვან. = ქვსვ.
- ქვსვ. = ქვემოსვანური
- ცხმ. = ცხუმარული
- ჭან. = ჭანური

ტ ე რ მ ი ნ ე ბ ა

- აორ. = აორისტი
- ენ. = ენებ. = ენებითი
- თანხმ.დაწყ. ფ. = თანხმოვნითდაწყებული ფუძე
- კნქტ. = კნქტივი = კონ.
- კონ. = კნქტ. = კქტივი. = კონიუნქტივი
- მყ. = მყფ. = მყოფადი
- მყ.სრ. = მყ.სრული = მყოფადსრული
- ნსრ. = ნ.სრ. = ნამყოფსრ. = ნამყოფსრული
- ნ.უსრ. = ნ.უსრული = ნამყოფსრული
- ნ.წ.წ. = ნ.წ.წარსული = ნ.წინარეწარსული = ნამყო წინარეწარსული
- ობ. წყ. = ობიექტ. წყ. = ობიექტური წყობა
- რლტ. = რელატ. = რელატიური
- სათ. = სათავ. = სათავისო
- ფ. = ფორმა
- ფრმ. = ფორმულა
- ხმ.დაწყ. ფ. = ხმოვნითდაწყებული ფუძე
- O = ობიექტი
- O₁ = ობიექტური პრეფიქსი პირველი პირისა
- O₂ = ობიექტური პრეფიქსი მეორე პირისა
- O₃ = ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა
- O^d = ობიექტი მიცემით ბრუნვაში
- O^{d-n} = ობიექტი მიცემით-სახელობით ბრუნვაში (ბრუნვაცვალებადი ობიექტი)
- Oe = ობიექტი ექსკლუზიური
- Oi = ობიექტი ინკლუზიური
- S = სუბიექტი
- S₁ = სუბიექტური პრეფიქსი პირველი პირისა
- S₂ = სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა
- S₃ = სუბიექტური პრეფიქსი მესამე პირისა
- Sⁿ = სუბიექტი სახელობით ბრუნვაში
- S^{n-a} = სუბიექტი სახელობით-მოთხრობით ბრუნვაში (ბრუნვაცვალებადი სუბიექტი)
- Se = სუბიექტი ექსკლუზიური
- Si = სუბიექტი ინკლუზიური
- ▼ = ხმოვანი

რაც შეეხება დანარჩენ შემოკლებულ ტერმინთ, როგორცაა: აბსლტ. = აბსოლ. = აბსოლუტური, აწმ. = აწმყო, მხ. = მხოლ. = მხოლოლობითი, პ. = პირი, რ. = რიცხვი, სუბ. = სუბიექტი, სუბიექტური, სუფ. = სუფიქსი და სხვა ასეთები კონტექსტით ადვილად გაიხსნებიან.

Сокращения Языки и диалекты

беч. = бечойский (говор)	нб. = нижнебалхский наречие
вб. = верхнебалхский наречие	нсв. = нижнесванский
всв. = верхнесванский	сван. = сванский
груз. = грузинский	тавр. = таврарский (говор)
зан. = занский (мегрельско-чапский)	ушг. = ушгульский (говор)
ипар. = ипарский	цхм. = цхумарский (говор)
лнт. = лентехское наречие	чан. = чапский
лхм. = лахамульский (говор)	чбх. = чубехевский (говор)
лшх. = лашхское наречие	эц. = эцерский (говор)
мегр. = мегрельский	

Термины и условные знаки

ед. = единственное число	S = субъект
л. = лицо	S ₁ = субъектный префикс I лица
мн. = множественное число	S ₂ = субъектный префикс II лица
O = объект	S ₃ = субъектный префикс III лица
O ₁ = объектный префикс I лица	S ⁿ = субъект в именительном падеже
O ₂ = объектный префикс II лица	S ^{n-a} = субъект в именительном и эргативном падежах
O ₃ = объектный префикс III лица	Se = субъект эксклюзивный
O ^d = объект в дательном падеже	Si = субъект инклюзивный
O ^{d-n} = объект в дательном и именительном падежах	v = vocalis, гласный
Oe = объект эксклюзивный	ч. = число
Oi = объект инклюзивный	

ლიტერატურა

- ადიშ. = ადიშის სახარება: *Материалы по археологии Кавказа*, XIV, Москва, 1916.
- ანტ.-რავანი = ცხოვრება: და წამება: წოდის: ანტონი: რავანისი..., გამოც. ი. ყიფშიძის მიერ: *Христианский Восток*, II, вын. I, СПб. 1913.
- ბგერით მოვლ. = ბგერით მოვლენ. = ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. I. ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა: „მომომხილველი“, I, ტფ. 1926.
- II. ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა: „ტფ. უნივ. მოამბე“, X, ტფ. 1930.
- ზნის საკცევი = ქართული ზნის საკცევი.
- კვლავ უმლ. = ვ. თოფურია, კვლავ უმლაუტისათვის სვანურში: „ტფ. უნივ. მოამბე“, VIII, ტფ. 1928.
- მეგრ. გრ. = მეგრ. გრამ. = ი. ყიფშიძე, *Грамматика мингрельского (пверского) языка с хрестоматиею и словарем*, СПб. 1914.
- მრავლ. ონ ძე-ქართულში = არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში? „ტფ. უნივ. მოამბე“, IX, ტფ. 1929.
- ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის = ვ. თოფურია, ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის ქართულში: „ტფ. უნივ. მოამბე“, XI, ტფ. 1931.
- ონ სუფიქსი = არნ. ჩიქობავა, ონ სუფიქსი მეგრულში: „ტფ. უნივ. მოამბე“, VI, ტფ. 1926.
- სამლუდელმოდ. = კ. კეკელიძე, *Древне-грузинский архиератикон*, Тфл. 1912.
- საკცევი = ქართული ზნის საკცევი.
- სახელთა ისტ. = ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: „ტფ. უნივ. მოამბე“, VII, ტფ. 1927.
- სვან. გრამ. = თავეისუფალი სვანისი, მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა: „ძველი საქართველო“, II, ტფ. 1913.
- S₂ O₂ ქართულ ზნებში = აკ. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზნებში, ტფ. 1920.
- სუმ.-ქართ. = მიხ. წერეთელი, სუმერული და ქართული: „გვირგვინი“, ტფ. 1912.
- უმლ. = აკ. შანიძე, უმლაუტი სვანურში: „არლი“ — პროფ. ი. ჯავახიშვილის მიმდევნილი კრებული, ტფ. 1925.
- ფერეიდ. = არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: „ტფ. უნივ. მოამბე“, VII, ტფ. 1927.
- ქართ. გრამ. = მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფ. 1906.
(ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1907).
- ქართული ზნის საკცევი = აკ. შანიძე, ქართული ზნის საკცევი: „ტფ. უნივ. მოამბე“, VI.
- ყე ნაწილაკი = არნ. ჩიქობავა, ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, I-II, ტფ. 1923/4.
- ცნობა ახლად აღმოჩ. ტექსტების შესახებ = აკ. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ... „ტფ. უნივ. მოამბე“, II, ტფ. 1922/3.
- ძვ. სას. პ. = პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წ. I, ტფ. 1913.
- წინადად. პრობლ. = არნ. ჩიქობავა, მარტივ წინადადებების პრობლემა ქართულში. I, ტფ. 1928.
- ჰან. გრ. = ჰან. გრამ. = ნ. მარი, *Грамматика чавского (лавского) языка с хрестоматиею и словарем*, СПб. 1910.
- ხორაჯ = არსენა ვონანან, მეგმარეში ბალხარე ეახნელ ხორაჯ (Сборник сванских названий деревьев и растений), პტრგრ. 1917.
- კვს. = კვს. მას. = კვესურული მასალები ბეს. გაბუურის მიერ შეკრებილი, პროფ. აკ. შანიძის რედაქციით...: „წელიწდეული“, I-II, ტფ. 1923/4.

- ოქმები: 1925 წლ. № 9/24 = მაკ. ხუბუა, პირველი და მეორე პირის სუბიექტური და ობიექტური პრეფიქსები მგარულში.
- 1925 წლ. № 11/30 = აკ. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსები სვანურში.
- 1926 წლ. № 1/48 = არნ. ჩიქობავა, შეიძლება თუ არა ქართულში ერთიდამივე პირის როგორც S, ისე ობიექტი ერთიდამივე ფორმანტი იყოს აღნიშნული?
- 1926 წლ. № 8/48 = ვ. თოფურია, ზოგიერთი ქართული სიტყვის ეტიმოლოგია.
- 1926 წლ. № 8/51 = მაკ. ხუბუა, ხმოვანთა დამსვავების საკითხისათვის მგარულში.
- 1926 წლ. № 11/48 = აკ. შანიძე, ზნათა კლასიფიკაციისათვის ქართულში.
- 1926 წლ. № 12/61 = ვ. თოფურია, რედუქციისათვის სვანურში.
- 1927 წლ. № 5/78 = „ „ „ აფხაზური ელემენტებისათვის სვანურში.
- 1927 წლ. № 9/74 = „ „ „ ანალოგიის შემთხვევა სვანური ზმნის პრეფიქსებში.
- 1927 წლ. № 10/78 = „ „ „ აორისტიკა და კონიუნქტივი მეორის დაბოლოებანი სვანურში ქართულთან შედარებით.
- 1928 წლ. № 2/80 = ვ. თოფურია, შესამე პირის სუბიექტური პრეფიქსისათვის სვანურში.
- 1929 წლ. № 9/88 = არნ. ჩიქობავა, სათავისო ქვეყისათვის კანურში.
- (ოქმები შედგენილია ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომებზე წაითხულ მოხსენებთა მიხედვით. ჯერჯერობით არაა გამოქვეყნებული).
- Абх. терм. = Б. შარი, Яфетическое происхождение абхазских терминов родства: ИАН, СПб. 1912.
- Абх. яз. = ბ. უსლარი, Абхазский язык, Тфл. 1887.
- Абх.-р. слов. = Б. შარი, Абхазско-русский словарь, Лгр. 1926.
- Анбан = Лунну Анбан.
- Ахем. = Б. შარი, Одределение языка второй категории ахеменидских клинообразных надписей...: Записки Вост. отд. Русск. Арх. общ., XXII, СПб. 1914.
- В Абхазию = Б. შარი, Из лингвистической поездки в Абхазию: ИАН, СПб. 1913.
- В Свацию = „ „ „ Из поездок в Свацию: „Христ. Восток“, т. II, вып. I, СПб. 1913.
- Вольн. Сван. = Поездка в Вольную Сванетию И. А. Бартоломея в 1853 году: Записки Кавк. отд. Русск. Географ. общ., вл. III, Тфл. 1855.
- Грамм. гр. яз. = Б. შარი, Грамматика древнелитературного грузинского языка, Лгр. 1925.
- Грамм. др.-арм. яз. = Б. შარი, Грамматика древне-армянского языка, СПб. 1903.
- Грамм. зам. = ა. გრენი, Грамматические заметки: СМ, X.
- Грамм. лит. = ა. ცაგარელი, О грамматической литературе грузинского яз., СПб. 1873.
- Грамм. очерк = ბ. უსლარი, Грамматический очерк сванетского языка: Абхазский язык, Тфл. 1887.
- Два суффикса = ა. შანიძე, Два чао-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках, Птгр. 1916.
- Зап. Р. О. = Записки Кавказского отдела Русск. Географического общества, кн. III, Тфл. 1855, кн. X, вып. II, Тфл. 1876.
- Источник = Б. შარი, Непечатный источник истории кавказского мира: ИАН, Птгр. 1917.
- К вопросу абх. яз. = Б. შარი, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, СПб. 1912.
- Лунну Анбан (Сванетская азбука), Тфл. 1864.
- Мингр. этюды = ა. ცაგარელი, Мингрельские этюды, вып. I, СПб. 1880.
- Р.-абх. слов. = Русско-абхазский обратный словарь... კ. დონდუას რედ., Лгр. 1928.
- Св.-р. слов. = Б. შარი, Извлечение из сваяско-русского словаря, Птгр. 1922.
- Свап. скл. = „ „ „ Где сохранилось сванское склонение? СПб. 1911.
- СМ = Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. X, Тфл. 1890, вып. XVIII, Тфл. 1894, вып. XXXI, Тфл. 1902.

- Срав. обз. = Сравн. обз. = ა. ცაგარელი, Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, СПб. 1872.
- Толмач = Кавказский толмач — составил А. В. Старчевский, СПб. 1891.
- Эмигр. мосохов = Б. შარი, К дате эмиграции мосохов из Армении в Сванию: ИАН, Пгтр 1916.
- Этруски = Б. შარი, К вопросу о происхождении племенных названий «этруски» и «пеласги»: Записки Вост. отд. Р. Арх. общ., XXV.
- Яф. пазв. = Б. შარი, Яфетические названия деревьев и растений: ИАН. СПб. 1915.
- Яф = , Яфетические элементы в языках Армении. VII. VIII: ИАН, 1914.
- Einführ. = ა. დიბი, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928.
- Grundriss = ფრ. შაულერი, Grundriss der Sprachwissenschaft, Bd. III, Abt. II, Wien, 1885.
- Kartv. = რ. ლაფონი, Quelques rapprochements entre les langues caucasiennes septentrionales et les langues kartvéles; Bull. de la Société de linguistique de Paris, t. XXIX, fasc. 3, Paris, 1929.
- Ros = გ. როხენი, Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische, Brl. 1846.
- Sprach. = რ. ფონერკერტი, Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895.
- Sum.-Georg. = Sumer.-Georg. = მ. წერეთელი, Sumerian and Georgian: Journal of the Royal Asiatic Society, 1913 ოქტ. და 1914 იანვ.
- Swan. = ჰ. შუხარდტი, Über den passiven Charakter des Transitivity in den kaukasischen Sprachen, Wien, 1895.
- Terminologia = დ. გულია, Терминология по литературе и языкознанию (русско-абхазская, абхазско-русская), Сухум, 1930.
- / = „ნაცვლებიან ერთმანეთს...“ (ხულტა/ე = ხულტა || ხულტე: შეიძლება ორივე ფორმა ერთ დიალექტში იყოს, ან ერთი — ერთ დიალექტში და მეორე — მეორეში).
- (), [] = ფრჩხილებში ჩასმული მაგალითები ან ტექსტებიდანაა ამოღებული და არაა სწორი, ან შესაძლებელია.
- X. XVШ, XXXI = CM
- ლაშხური მაგალითის გვერდით ფრჩხილებში ჩასმული ციფრები უჩვენებენ გვერდსა და სტრიქონს ლაშხური ტექსტებისას: არსენა ვონაჰან, ლუშუე ამბჰარ ლგლანშიუ შუმი ნინშ; (Сванские тексты на лашхском наречии...), პტრგ. 1917.
1. ადგილის ეკონომიისათვის თარგმანი ყველგან სრული არ არის.
 2. ვარსკვლავიან მაგალითებში ის ფორმანტა ან ძირის ხმოვანია აღდგენილი, რომლის შესახებაც მსჯელობაა, მაგ. გვაქვს: * ე ს-ჰ ე უ შ, * ე ს-ა გ ე უ შ, * ე ს-გ ო შ-ე: პირველ შემთხვევაში აღდგენილია ოჰ ჰ, მეორეში — სახედას მაქცევაირი -ა- და შესამეში — III პირის -ე აორისტში (სამივე სახე მიღებულია * ე ს-ჰ-ა-გ ო შ-ე ფორმისაგან).
 3. თუ მაგალითის წინ ერთი ან რამდენიმე დიალექტია ნაჩვენები, ეს ნიშნავს, რომ მოყვანილი მაგალითი ან სხვა სახით გვხვდება დანარჩენებში (ბზ.ლზხ. ან მშარე, მაგარამ: ბქე. ან მარა, ლნტ. ან ან მარე), ან (იშვიათად) სრულბით არ მოიპოვება (ბზ. ი შ გ ე შ ი ნ არ იხმარება ეკერულში), ანდა ზოგჯერ განგებია გამოტოვებული.
 4. მაგალითებდად მოყვანილია ინდივიდუალი ფორმებიც. სვანური უმწერლობო ენაა, და როგორც ასეთს ახასიათებს: ფორმანტა სხვადასხვაობა, „ბგერით ელფერთა ნაირნაირობა“ (Б. შარი), რედუქციის, უმლაუტისა და სიგარძის რყევადობა, რაც შესაძლებლობის ფარგლებში არ მწეადა უგულუბელმეყო და მომყავდა, საეკო შემთხვევებში კი გვერდში ვუწერდი „sic“ ან „შესაძლებელია“ ან ვუსვამდი კითხვის ნიშანს, რომ მომავალში მათაც ყურადღება მიექცეს.

5. არსებულ მასალებში შერჩეულია და საილუსტრაციოდ მოყვანილია სხვადასხვა (ფორმანტის, ფუძის, ძირის, დიალექტის) თვალსაზრისით საკირო მაგალითები.

6. ჩოლურული (ქესვ.), ლატალური (ბზ.), ცხუმარული, თაერარული (ბქვ.) და სხვა არ განმიხილავს. სხვადასხვა მიზეზის გამო ზოგი ადგილი, განსაკუთრებით კი VII თავი, შევამოკლე და საძიებელიც ვერ დავურთე, არაფერია ნათქვამი აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან ნაშრომებზე სვანურის შესახებ, როგორცაა ა. შანიძის „უმლაუტი სვანურში“, ხმოვანთა რედუქცია („წელიწდეული“, გვ. 7-11), ნ. შარის სვანური ლექსიკონი, გ. დეეტერსის „Das kharthwelische Verbum“... და ისეთ მასალებზე, როგორცაა არსენ ონიანის ლაშხური ტექსტები.

წ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა ო ზ ა

სვანური ენის მიმოხილვა ორ ნაწილადაა განზრახული. მეორეში შევა: ფონეტიკა და სინტაქსი, მორფოლოგიიდან კი — სახელი და სიტყვათწარმოება. ზმნის პირველ რიგში დამუშავება და გამოქვეყნება მისი სირთულითა და მნიშვნელობითაა გამართლებული: „ვინც ზმნა იცის, მან ენაში თითქმის ყველაფერი იცის...“ (პ. შუხარდტი) — თუ კი ეს საერთოდ ენის შესახებ ითქმის, მით უმეტეს უნდა ითქვას ქართველურ ენათა შესახებ, რომელთა „მორფოლოგიის ყველაზე ძნელი ნაწილი ზმნა არის“ (ნ. მარი). ქართულ-მეგრულ ზმნასთან შედარებით სვანური ზმნა უფრო რთულია: უკანასკნელს მეტი გააჩნია: Si და Oe ფორმები (§§ 1, 4), მყოფად-უსრული და -სრული (§§ 30, 31), თურმეობითი I და II (§§ 34, 35), სიტყვათწარმოების ზოგი მომენტი (§ 63) და სხვა.

სვანური ყურადღებას იპყრობდა იმ მხრით, რომ: 1. იგი „ნარევი ტიპის ენაა“: მასში შენიშნულია ქანურ-მეგრული (შიშინა წრის) ფენა (ნ. მარი), აფხაზური ელემენტები (გვ. 70, შწ. 3), სომხური და შეიძლება სხვა კავკასიური ენისაც (§ 2 B 2), 2. მას ახასიათებს დიალექტთა სიმრავლე. შედარებით მცირე ტერიტორიაზე გაშლილი თექვსმეტ ათასამდე სვანის ენა ოთხ მთავარ დიალექტად „იყოფა“. ესენია: ბალსზემოური, ბალსქვემოური (= ზემოსვანურს), ლენტეხური და ლაშხური (= ქვემოსვანურს: ნ. მარი, ა. შანიძე). თითოეული დიალექტის ფარგლებში „ქვესა“ და „ქვეს“ შორის არის მეტ-ნაკლები სხვაობა: ბალსზემოურში უშუალოდ დაცილებულია მულახურ-მესტიურს (§ 24 და გვ. 194, შწ. 1), ივარული (გვ. 76, შწ. 3, 117, შწ. 2, 59, შწ. 1) და ლენჯერული (§ 54, შწ.) კი ზოგი რამითლა შორდება უკანასკნელს, ხოლო ბალსქვემოურში თვალსაჩინო განსხვავებაა ბეჩოურსა, ეცერულსა და ლახამულურს შორის (გვ. 14, შწ. 3 და § 25...). ორივე ეს ფაქტი საგულისხმოა ზოგადი ენათმეცნიერების ენათა შეჯვარდინებისა და ენის ცვალებადობის პრობლემებისათვის, 3. არ მოგვეპოვება არათუ მთლიანი მიმოხილვა სვანური ენისა, არამედ პირველ რიგში წამოსაყენებელი საკითხებიც კი არ არის მონოგრაფიულად დამუშავებული გარდა რამდენიმე მოვლენისა. სვანურის შესწავლა როზენით დაიწყო, მას მოყვნენ მკვლევარები: ცაგარელი, მახუღერი, უსლარი, ზავადსკი, შუხარდტი, ერკერტი, ჯანაშვილი, თავისუფალი სვანი, დირი. მარი, შანიძე და დეტერსი. ზოგი მათგანი უშუალოდ ეცნობოდა სვანურს, ზოგიც წინამორბედ მკვლევართ ეყარებოდა (როგორც მაგ., ცაგარელი, მახუღერი — როზენს, შუხარდტი, დირი უმათერესად — ზავად-

სკის, დეეტერსი -- ნაწილობრივ შანიძეს) და მათ მიხედვით აშუქებდა ამათუიმ მოვლენას. სვანურის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ყოველმხრივ სანდოდ მარის, შანიძისა და დეეტერსის ნაშრომებია ჩაითვლება, 4. სვანური მოწოდებულია შუქი მოფინოს არა მარტო ზოგი კავკასიური ენის, განსაკუთრებით კი ქართულისა და მეგრულის ენობრივ პრობლემებს, არამედ მათი წარსულის კულტურის არა ერთსა და ორს საკითხსაც (ყველა ამათ შესახებ დაწვრილებით II ნაწილში).

სვანურში მეცადინეობა სტუდენტობისას დაიწყო: მოვისმინე პროფ. ა. კ. შანიძის მიერ წაკითხული საკმაოდ ვრცელი გრამატიკული მიმოხილვა და მისივე ხელმძღვანელობით ვარჩევდი ტექსტებს. 1925 წ. პროფ. ა. კ. შანიძისავე ინიციატივით ტფ. სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურმა ფაკულტეტმა მიმავლინა ზემოსვანეთში ბალსზემოურის შესასწავლად და მასალების შესაკრებად. დაეყავი იფარის თემში თვენახევარი. 1926 წ. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების დავალებით განვაგრძე წამოწყებული მუშაობა იფარისავე თემში ერთი თვე, მულახში 11 დღე, მესტიაში 19 დღე, და ბალსქვემოურის „დასაზვერად“ გადავედი ბეჩოში ხუთი დღით. 1927 წ. პედაგოგიური ფაკულტეტისავე მივლინებითა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დახმარებით შესაძლებლობა მომეცა მემუშავა ბალსზემოურზე 18 დღე (უშგულში 5. კალაში 2 და მესტიაში 11 დღე), ბალსქვემოურზე 19 დღე (ეცერში 12, ბეჩოში 7), ლაშხურზე 10 და ლენტეხურზე 12 დღე. 1928 წ. ვუკოლ ბერიძისა და გ. გიორგიძის მეოხებით მომიხერხდა თვენახევრით ზემოსვანეთში გამგზავრება და შეგროვილი მასალის მესტიაში შემოწმება. ტექსტების ჩაწერა იმ თავითვე დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ხელსაყრელ პირობებში არ ვიმყოფებოდი (ხშირად ობიექტი არ მყავდა, ბალსქვემოურისა და ქვემოსვანურის გასაცნობად ცოტა დრო მქონდა; და სხვა), მაინც შესაძლებელი შეიქნა საკმარისი ტექსტებისა და ქართულიდან ნათარგმნი („პალიასტომის ტბა“, „ელისო“ და სხვა) მოთხრობების შეკრება. ენის შესწავლისას გამოირკვა, რომ რიგი ზმნის ფორმებისა ტექსტებში ან იშვიათად მოიპოვებოდა, ან სრულეებით უგულვებელყოფილი იყო. ზმნის ყოველმხრივ წარმოსადგენად ვაუღლე აწმყოსა, აორისტსა და მყოფად-სრულში 1200-მდე ბალსზემოური მაგალითი.

მასალად გამოვიყენე პროფ. ა. კ. შანიძის მიერ ბლომად და სანიმუშოდ ჩაწერილი ტექსტები (აქედან მაქვს ამოღებული ლახამულური და თავრარული მაგალითებიც), არსენ ონიანის ორივე წიგნი, CM-ში (X, XVIII, XXVI) დაბეჭდილი ტექსტები (გარდა სტოჰანოვისა და გრენისა) და ჩემ მიერ შეკრებილი მასალები. ნარკვევის დამუშავებისას აღმოჩნდა, რომ ზოგი საკითხის გასაღრმავებლად მეტი მაგალითი იყო საჭირო, ვიდრე ეს მე მომეპოვებოდა. ამ ნაკლის გამოსწორებაც მოხერხდა ტფილისში მყოფი სვანების მეოხებით. განსაკუთრებით ინტერესს იჩენდენ: მასწ. ივანე თ.-ძე ნიუბრაძე (უშგ.); მერი გუჯეჯიანი, ბიძინა პირველი (ბზ.), ფრანკუზ გერლიანი (ეცრ.), მაღი და დეშქელიანი - კარბელაშვილისა, შალვა შამტრიანი (ბეჩ.), დანიელ ფოჩიანი, არსენ, არდგვან, ანკონ. დანიელ

ონიანები (ლშხ.), ალექსანდრე, პერკულეს და ბიქტორ ქურასპედიანები (ლნტ.), ლახამულურის შესახებ საკმაო მასალა მომაწოდეს სოკრატ კკადუამ და ალი დავითიანმა, ხოლო სვანეთში ყოფნისას დახმარებას მიწევდენ: შურა ნიქარაძე (უშგ.), მერი გუჯეჯიანი, გიორგი ნავერიანის ოჯახი, სილიბ. ნავერიანი, გვედო და ვალო მარგიანები, ისაკ გვიდანი (მულახიდან), სები გულედანი (ლენჯერიდან), თენგიზ და დეშქელიანი (ბეჩოდან), დომენტი პაკელიანი (ეცერიდან), ცნობილის არსენ და მელიტონ ონიანისა და გიორგი ფოჩიანის ოჯახები, სპირიდონ ონიანი (ლაშხეთიდან), ნიკო ქურასპედიანის ოჯახი და ივანე ბენდელიანი (ლენტეხიდან). მასწ. ივანე ივ.-ძე ნიქარაძემ მის მიერ გამოქვეყნებული თუ მ. ზავადსკისათვის მიწოდებული მასალების ზოგიერთი ჩემთვის საინტერესო ადგილი განმიმარტა. ყველა აქ მოხსენებულ დაწესებულებათ და პირთ და აგრეთვე იმ სვანთ, რომელთაც ადგილობრივ დახმარება გამიწიეს და რომელთა დასახელება შორს წაგვიყვანდა, გულწრფელ მადლობას ვუცხადებ ისევე, როგორც პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილს გამოცემის საქმეში ხელის შეწყობისათვის, ვლ. ფანჩვიძეს, ალ. გვენცაძესა და შოთა ძიძიგურს დრო-დრო კორექტურაში მოხმარებისათვის.

აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და უღრმესი მადლობის გრძობით მოვიხსენებ ჩემს მასწავლებლებს პროფ. აკაკი შანიძესა და პროფ. გიორგი ახვლედიანს, რომელთა ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში ვსწავლობდი რიგს დისციპლინებს და ენებს და რის შედეგსაც ეს დამოუკიდებლად დამუშავებული სვანური ენის მთლიანი მიმოხილვის პირველი ცდა წარმოადგენს.

ავტორი

წინასიტყვაობა

მორამ გამომცემისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით სვანური ზმნა უცვლელად იბეჭდება. ამ მეორე გამოცემაში შეიცვალა მხოლოდ შრიფტი და მის შესაბამისად პაგინაცია; აგრეთვე ორიოდე გამოთქმა, დაერთო სრული საძიებელი და რუსულ ენაზე სარჩევი და რეზიუმე. რეზიუმეში გადმოცემულია შრომის მოკლე შინაარსი თითქმის იმავე თანამიმდევრობით, როგორითაც აქ არის წარმოდგენილი.

სვანური ზმნა გამოვიდა 1931 წელს თებერვალში მცირე ტირაჟით და მოკლე ხანში აღარ იშოვებოდა. იგი ასახავდა ქართველური ენათმეცნიერების მაშინდელ დონეს. მას შემდეგ ჩვენი ცოდნა გაფართოვდა და გაღრმავდა. დაწვრილებით შესწავლილ იქნა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა და მათ დიალექტთა ფონეტიკური სისტემა, გრამატიკული აგებულება, ასევე ვრცლად — სიტყვაწარმოება; დაისვა ამ ენათა განვითარების ისტორიისა და გენეზისური ურთიერთობისა თუ ტიპოლოგიური მსგავსების პრობლემები; გაშუქდა ისტორიულ ასპექტში მრავალი აქტუალური საკითხი; ზოგად ენათმეცნიერებაში წარმოიშვა სხვადასხვა მიმართულება და წინ წამოიწია სტრუქტურული მეთოდების გამოყენება. ქართველურ ენათა მონაცემების ანალიზის საფუძველზე არის საყურადღებო ცდები შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის მეშვეობით წინარექართველური ენის ძირითადი მოდელების აღდგენისა და მათი, თუმცა სადავო, ინდოევროპულ ენათა მოდელებთან სტრუქტურულ-ტიპოლოგიური დამთხვევის ძიებისა.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ამ შრომის ავტორს მის ხელმეორედ გამოცემაზე უარი არ უთქვამს. საქმე ისაა, რომ ზმნის სტრუქტურის აქ მოცემული სინქრონიული აღწერა მთლიანად და გზადაგზა ძირითად საკითხთა დიაქრონიულ ასპექტში განხილვა დღესაც გამართლებული ჩანს. ეს წიგნი რომ ახლა დაწერილიყო, ნაწილობრივ შეიცვლებოდა მისი არქიტექტონიკა, დაემატებოდა ზოგი დიალექტის ბოლო წლებში მოპოვებული მასალა, მაგრამ სტრუქტურული აღწერა და წამოყენებული მთავარი დებულებები ძალაში დარჩებოდა.

წიგნის მეორე ნაწილში ივარაუდება სრულად იქნეს წარმოდგენილი სვანურის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი, აგრეთვე სიტყვაწარმოება. მორფოლოგიის მიხედვით იქნება განხილული ზმნის ზოგი მხარე დიალექტთა ახალ-მასალების მიხედვით. ბუნებრივია, რომ შესწავლილია სვანურის შესახებ არსე-

ბული ახალი მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა და ჯეროვნად გათვალისწინებულია მოპოვებული წარმატებები.

დღეს სვანური ენის ღრმა შესწავლისათვის შექმნილია მყარი საფუძველი. განხილულია ისტორიულ ასპექტში ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის მნიშვნელოვანი პრობლემები და საკითხები, გამოქვეყნებულია მონოგრაფიული გამოკვლევები, გამოცემულია არსენ ონიანის ლაშხური კილოს ტექსტებისა და მცენარეების სახელწოდებათა კრებულის გარდა სვანური პოეზია ქართული თარგმანითურთ, პროზაულ ტექსტთა სერიიდან I ტომი — ბალსზემოური კილო, II ტ. — ბალსქვემოური კილო, ხოლო III ტ. — ლენტეხური კილო — იბეჭდება.

გარდა ამისა, შედგენილია და სასტამბოდ მზადდება სვანური ენის სახელმძღვანელო (გრამატიკული მიმოხილვა, საუბრები, ტექსტები, ლექსიკონი), დასაბუთებლად მზადდება აგრეთვე სვანურ-ქართული ლექსიკონი, მუშავდება ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი.

სვანური ენის მიმართ ეგოდენ დიდი ინტერესი გამოწვეულია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით ქართველურ ენათა ისტორიულ-მედარებითი შესწავლისა და ფუძეთა რეკონსტრუქციისათვის. სვანურში შემონახული არქაიზმები, გაჩენილი ინოვაციები, რთული ფონეტიკური პროცესები, დიალექტთა ნარეობა და თავისებურებანი, სხვა ენათა სუბსტრატის არსებობა და სხვა მოვლენები ხელშესახებ მასალას იძლევიან კერძო და ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემათა წამოსაყენებლად და გადასაჭრელად. ამ მხრივ სვანური ენის აგებულების ყოველმხრივ აღწერას გარკვეული წვლილის შეტანა ვეალება.

წიგნის აწყობა-გამოშვება დაყოვნდა მისი ტექნიკური სირთულის გამო. მის გამოსვლას ხელი შეუწყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორმა შოთა შენგელამ და თბილისის უნივერსიტეტის სტამბის დირექტორმა ვახტ. ხორბალაძემ, აწყობას უხელმძღვანელა და რთული სამუშაო შეასრულა საამწყობო საამქროს უფროსმა ვახტ. გურგენიძემ, ააწყო ციკინო ნოზაძემ და დაბეჭდა ვ. აბგაროვმა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ყველა აქ დასახელებულ პირს გულითად მადლობას მოვახსენებ. კორექტურის კითხვასა და საძიებლის მასალის ამოწერა-დალაგებაში მომხმარა გურ. თოფურია.

ავტორი

თამა პირველი

პირთა შორამანტები

1. სუბიექტური აზიძხეაი

1. სუბიექტური პრეფიქსების განხილვისას ზმნები ორ ჯგუფად უნდა დავყოთ: ხმოვნითდაწყებული და თანხმოვნითდაწყებული ფუძეებისდა მიხედვით, ვინაიდან უკანასკნელთა წინ ხმარებულ პირის ნიშნებს შორის სხვაობას აქვს ადგილი.

A. ხმოვნითდაწყებულ ფუძეებ

1. პირველი პირის გამოსახატავად ყოველთვის დაერთვის პრეფიქსი ხტ-, მეორისა — ხ-, ხოლო მესამე პირის აღმნიშვნელად არც არეფიქსი¹ მოგვეპოვება და დროთა რიგში არც სუფიქსი: წმინდა ფუძეა წარმოდგენილი.

2. მრავლობითი რიცხვი მხოლოდობითისაგან განსხვავებულია პლურალობის მაჩვენებელი ბოლოსართებით, სახილდობარ: პირველი და მეორე პირისათვის გამოყენებულია -დ², ხოლო მესამისათვის — -ხ.

	პ.	ბალს.ლანს.	ზემოსვ.ლენტ.
რ.	1 ხტ-იშტნი (ვინახე) ხტ-იკედ (ვილებ) ხტ-ამრე (გამხადებ) ხტ-აწხი (ვწვავ)		
მლ.	2 ხ იშტნი ხ-იკედ ხ-ამრე ხ-აწხი		
მზ.	3 იშტნი იკედ ამრე აწხი		
წ.	1 ხტ-იშტნი-დ ხტ-იკედ-დ ხტ-ამრე-დ ხტ აწხი-დ		
წლ.	2 ხ-იშტნი-დ ხ-იკედ-დ ხ-ამრე-დ ხ-აწხი-დ		
წზ.	3 იშტნი-ხ იკედ-ხ ამრე-ხ აწხი-ხ		

3. მრავლობით რიცხვში პირველი პირი ორგვარი ფორმით გვევლინება: ინკლუზიურითა და ექსკლუზიურით (Swan. 48. უმლ. 190, შმშ. 2): ა. პირველი (ინკლუზივი) მანინ ათის, როცა „ჩვენ“ შეიცავს „მე“ და „შენ || თქვენ“ს (ფორმულა: Si), ხოლო ბ. მეორის (ექსკლუზივის) „ჩვენ“ში ნაგულისხმებია „მე“ და „ის (იგი) || ისინი“³ (ფორმულა: ხე). უკანასკნელის ნიშნები (ხტ- — -დ)

¹) Rur. 65. Swan. 48.

²) და (რა -თ, რაგორც ეს ხოგ ავტორსა აქვს ნაჩვენები (Ros. 65. Грам. очерк, 106. 117... Grundriss, 230. Sprach. 36.... და სხვა).

³) 1924 წლ. ოქმი № 23 („წელ:წდელუი“, 1—11, გვ. 373-4).

ზემოთ უკვე გათვალისწინებულია. Si ს გამოსახატავად იხმარება ლ- — დ: ლ- I და II პირის მაჩვენებელია, - დ კი — მრავლობითობისა. მაშასადამე, პარადიგმაში მოცემულ

I-III = Se: ხუ-იზუნი-დ („მე + ის || ისინი“ ვინახავთ), ხუ-იკედ-დ („მე + ის || ისინი“ ვიღებთ), ხუ-ამარე-დ („მე + ის || ისინი“ ვამზადებთ), ხუ-წმხი-დ („მე + ის || ისინი“ ვწვავთ) ფორმებს გვერდში ამოუღდება ჩვეულებრივ გავრცელებული

I-II = Si: ლ-იზუნი-დ („მე + შენ || თქვენ“ ვინახავთ), ლ-იკედ-დ („მე + შენ || თქვენ“ ვიღებთ), ლ-ამარე-დ („მე + შენ || თქვენ“ ვამზადებთ), ლ-წმხი-დ („მე + შენ || თქვენ“ ვწვავთ) მაგალითები (შდრ. 1924 წლ. ოქმი № 23)¹.

4. III პირის ნიშნად ზემოთ არავითარი ფორმანტი არ არის გამოყოფილი: იგი თითქოს არც იყო საპირო, რადგანაც III პირი თავის უფორმანტობით ისედაც განსხვავდება პირველი ორი, გარკვეული პრეფიქსების მქონე, პირისაგან. მაგრამ ნაშთის სახით შემონახულია რამდენიმე ზმნა, რომელთა ფუძეს III პირში დართული აქვს ლ-, ესენია:

ერთი 1 ხუ-ი (ვარ) და მეორე ხს.ლნტ. ხუგ ← *ხუ-გგ, ლშ. ხუგ ² (ვდგავარ)		
2 ხ-ი	ხ-გგ	ხ ზგ
3 ლ-ი	ლ-გგ	ლ-ზგ ლ-გგ (1,)

გამოცალკევებული ლ- რომ მხოლოდდამხოლოდ პირის ნიშანია, ამაში გვარწმუნებს შემდეგი გარემოება: a. ორივე ზმნა (ლ-ი, ლ-გგ) აბსოლუტური სახეობისაა, ამდენად საქმე გვაქვს მარტო სუბიექტთან, b. მრავლობით რიცხვში მხოლოდობითის ფორმას დაერთვის პლურალობის დამახასიათებელი -ხ: ლ-ი ხ, ლ-გგ-ხ. მაშასადამე, ლ-ს არ ევალება რიცხვის გამოხატვა, და c. ზმნის სხვა დროში მოქცევით ლ-ს მდგომარეობა არ იცვლება: ბხ. ლ-გგ-და || ლ-გგ-და¹ || ლ-გგან² და¹, ბეჩ. ლ-გგან, ეტრ. ლ-გგან, ლშ. ლ-გგ-და || ლ-გგან (50), || ლ-გგანდა (ნპ₂₈), ლნტ. ლ-გგ-გდა¹ (იღგა), რაც იმის მაუწყებელია, რომ ლ- არც დროის წარმოებას კისრულობს. ჩანს: ლ- თავისუფალი ყოფილა დროისა და რიცხვის კატეგორიების აღნიშვნისაგან, ამდენად იგი მესამე პირის ფორმანტად ჩაითვლება.

ლ- პრეფიქსიანი ზმნების რიცხვი კიდევ სამით შეიძლება გავადიდოთ. ორი უკვე დავასახელოთ. მესამე იქნება ისევე მეშველი ზმნა, ოლონდ სხვა ფუძის შემცველი:

¹) CM, X, გვ. XV. Swan. 40, 48. Einfthr. 120. უსლარის (Грѣхъ оуерѣ, 109) მაგალითია და მის შესახებ შენიშნავთ ასე უნდა შესწორდეს: ა ლ ო ო ო დ, ო ო ო ო დ (წვევით). პირველი იხმარება მაშინ, როცა ის, ვისაც ელაპარაკებიან, მონაწილეობას იღებს, მეორე, როცა მონაწილეობას არ იღებს.

²) მხედველობაში არაა მიღებული ამ ფორმების პარალელურად ქვემოთხსენებულში გავრცელებული: ლნტ. ლ უ გ-ბ უ ი, ლშ. ლ გ-გ (|| ლ უ გ-ბ უ ი (ვდგავარ) და ლნტ. ლ გ-გ-ბ ი, ლშ. ლ გ-გ-ბ ი (დგახარ). ავკარაა, ეს გვიანდელი წარმოშობის არის და ამიტომაც ჩვენი საკითხისათვის უნიშვნელოა.

	ბ.	ხემოსვან.	ლენტ.	ლაშა.
ნაწყოფსკ.	1	ხუ-ასტ	ხუ-ასტ ხუ-ას	ხუ-ას (43 ₂) ¹ (ვიყავ)
	2	ხ-ასუ	ხ-ასტ ხ-ას	ხ-ას
	3	ლ-ასტ ²	ლ-ასტ ლ-ას	ლ-ას (4 ₁₃ ...)
კონიუნქტ.	1	ბალსხ.	ბჰვ.ლენტ.	
	1	ხუ-ესტ	ხუ-ესე	ხუ-ესე
	2	ხ-ესტ	ხ-ესე	ხ-ესე
3	ლ-ესტ	ლ-ესეს ²	ლ-ესეს (3 ₃₃) ლ-ესეს (8 ₁ ...)	

მეოთხე ზმნა გვხვდება აორისტსა და მისგან ნაწარმოებ კონიუნქტივ IIში:

	ბალსხემ.	ბალსჰვ., ეცრ.	ლენტხ.	ლაშა.
აორისტი	1	ლოხუ-ემ	ლოხუ-ემ ლოხუ-ე	ლოხუ-ემ ლოხუ-ემ (შეეკამე)
	2	ლ- ხ-ემ	ლ- ხ-ემ ლ- ხ-ე	ლ- ხ-ემ ლ- ხ-ემ
	3	ლა-ლ-ემ	ლ- ლ-ემ ³	ლა-ლ-ემ ლა-ლ-ემ (76 ₁₄₋₁₅)
კონ. II	ლა-ლ-ემ-ას/-ეს ⁴	ლ-ლ-ემეს	ლა-ლ-ემეს	ლა-ლ-ემეს (შეჭამოს)

ხოლო მეხუთე, ლ- პრეფიქსიანი ზმნა, მართო ლახუის დაუცავს, დანარჩენი სამი კილო კი მას III აირში უთავსართოდ წარმოგვიდგენს:

	ბალსხ.	ბალსჰვ.	ლენტ.	ლაშა.
აორისტი	1	ლოხუ	ლოხუ	ლოხუ (შეესვი, დავლი)
	2	ლ-ხ-ე	ლ-ხ-ე	ლ-ხ-ე
	3	ლა- ე	ლ- ე	ლა-ლ-ე (62 ₂₉ , 63 ₂)

და აქედან კონიუნქტივ IIში: ლა-ლ-ემეს || ლა-ლ-ემეს (სვას)

უკანასკნელი ორი ზმნა (ლა-ლ-ემ და ლა-ლ-ემ), მართალია, გარდამავალია და ისიც აორისტის ჯგუფის დროებში წარმოებულნი, მაგრამ ლ-ს შესახებ გამოტანილი დასკვნა აქაც ძალაში რჩება. ამგვარად: ლ-ი, ლგვ, ლ-ასტ (ლ-ესტ, ლ-ესეს), ლა-ლ-ემ და ლა-ლ-ემ ზმნებში დაკული ლ- ნიშანი ნაშთად უნდა მივიჩნიოთ III სუბ. პირისა⁵ და ვთქვათ, რომ სვანურს ოდესღაც I და

¹) ქვემოხანურში ხ ტყის, ხეს ჩვეულებრივ დაერთვის აორისტში (იხ.) დაყენებულ ზმნათა I და II პირის ფორმებს:

ლშ. 1 ოთკალაუ ხუეს || ხუას (გაველწე) ლენტ. ალტაუ ხუეს (დავთესე), ახუას ხუეს (გავეკეთე)
2 ათკალაუ ხეს || ხას ალაუ ხეს ახას ხეს და სხვა

²) შდ. *Волян. Слвн.* 219 (= *Толмач*, 657). *СМ*, X, გვ. XVII. *Sprach.* 356, 360, 363. Swan. 49. სვან. გრამ. 92.

³) თავარჯულში ლ ა ე მ (ლ ა ე მ) მოგვეპოვება.
⁴) შდ. *Волян. Слвн.* 223 (= *Толмач*, 658).

⁵) სუბიექტური აფიქსებისა და მათ ზორის ლ-ს შესახებ მოხსენება წაიკითხა პროფ. აკ. შანიძემ 1925 წელს (ოქმი № 14_{2/26}). ამავე ლ-ს ჩვენც შევხვით ერთერთ ნოხსენებაში 1928 წ. (ოქმი № 2/30). ლ- მენველ ზმნაში, როგორც სუბიექტური პრეფიქსი ნესამე პრ.ასა, პირველად ჰ. შუხარდტსა აქვს შენიშნული. იგი წერს: „Man könnte vermuthen, dass in dem I von l-i, 'er ist', l-es, 'er sei', l-as w, 'er war' (2. Person: x-i, x-es, x-as w)...“

II პირის მსგავსად IIIისთვისაც გამოყენებული ჰქონია პრეფიქსი: იგი ყოფილა ლ-, როპელიც თავის ფუნქციით, როგორც ჩანს, არაფრით არ განსხვავდებოდა ხტ- და ხ- თავსართებისაგან.

ტაბულა I

(სუბიექტური აფიქსები)

პირი	მხლ. რ.	მრავლობითი რ.
1	ხტ-	{ Si ლ--- -დ Se ხტ--- -დ
2	ხ-	ხ--- -დ
3	ლ-, 0-	ლ-, 0--- -ხ

B. თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ

1. პირველი პირის ნიშნად -ტ- გვაქვს და ისიც ჩვეულებრივ ინფიქსის სახით: მოქცეულია ფუძის თავკიდურ თანხმოვანსა და მოძღვენო ხმოვანს შორის, ხოლო მეორესა¹ და დროთა რიგში მესამე პირს არავითარი ფორმანტი არ ახასიათებს.

2. მრავლობითი რიცხვის მისაღებად იგივე -დ და -ხ ბოლოსართი დაერთვის მხოლოდობითის ფორმებს, ხოლო Siსათვის პრეფიქსად ლგ- გვევლინება. უკანასკნელს ფუძისეული ხმოვნის ამოღება ძალუძს.

პირი	მხლ. რ.	ზემოსვანი, ლენტეხური	ზემოსვანი, ლენტეხური
1	ლური (←*ლტური) (მი-	ლტიგე (ვაქრობ)	ტტიხე ² (ვაბრუნებ).
2	ლური ვალ, წავალ)	დიგე	ტიხე
3	ლური	დიგე	ტიხე
პრეფ. რ.	Si ლ-ლრი-დ	ლგ-დგე-დ	ლგ-ტხე-დ
	Se ლური-დ	ლტიგე-დ	ტტიხე-დ
	2 ლური-დ	დიგე-დ	ტიხე-დ
	3 ლური-ხ	დიგე-ხ	ტიხე-ხ

C. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პრეფიქსების პრევერბში ჩაქსოვა. წინდებული ად- I და II პირის ფორმებში (ლახაპულურის გამოკლებით: § 4, გვ. 18-9) ყოველთვის წარმოდგენილია ათ-ის სახით (Swan. 53):

პირი	ზემოსვანი	ლენტ.	ლაშხ.
1	ჩოთ-მანხ (გავაახლე)	ჩტ ათ-ტ-ამეჩ (დავაბერე)	ჩოთ-კალატე (გავლენე)
2	ჩტ ათ-მანხ	ჩტ ათ- ამეჩ	ჩტ ათ-კალატე
3	ჩტ ად-მანხ	ჩტ ად- ამეჩ	ჩტ ად-კალატე

ein Subjekt-pronomen der 3. Person stecke, und dasselbe an das Pronomen a la. 'dieser' anknüpfen* (Swan. 49).

¹) Grundriss, 220, *

²) შდ. CM, X, გვ. XIV (= Einführ. 120).

რით არის გამოწვეული პირველს ორს პირში პრევერბისეული -ღ-ს ქცევა -თ-დ? პროფ. აკ. შანიძე ფიქრობს, რომ სუბიექტური (ამ შემთხვევაში II პირის) პრეფიქსის „ძირითადი სახეა ჰ, რომელიც... ად'თან თვით იკარგება, მაგრამ არა უკვალოდ, არამედ მეზობელ ღ'ონს აფშინიერებს, ანადა აქცევს და თვითონ ამ თანის ფშინიერებაშია მიჩქმალული: ადჰ > ათ“ (უმლ. 182, შნშ. იკვე, და 1925 წლ. ოკმი № 14/39). ად- წინდებულისაგან მიღებული ათ- სახე თითქოს სხვანაირად ვერ აიხსნება, თუ არ -ღ-სა და ჰ-ს შერწყმით. ამგვარად, II პირის სუბიექტურ პრეფიქსად ჰ- ცხადდება. უკანასკნელის სასარგებლოდ შეიძლება სხვა საბუთებიც გამოვანხოთ. ასეთად მიგვაჩნია: ა. თანხმონითდაწყებული ფუძეების წინ II პირის ნიშნად ნულის „არსებობა“, რომელიც ჰ-ს გაქრობის შედეგს უნდა წარმოადგენდეს (მაგალითები დიკვ, ტიხე და სხვა, იხ. ზემოთ), ხ. ეს-/ას- პრევერბის შემდეგ ჰ-ს ფონეტიკურ ნიადაგზე შესაძლებელი დაკარგვა, მაგ.: ხვ. ეს-ა-გუმ ← ეს-ჰ-გუმ (დაასხი), ჩუ ეს-აღ ← *ჩუ ეს-ჰ-აღ (დადვეი), ლშხ. ჩუ ეს-იბ ← *ჩუ ეს-ჰ-იბ (დაიბი), ლნტ. ე'ას-აგ ← *ეი ას-ჰ-აგ (დაადგი), და ც. ხ-ს ჰ-საგან მიღების ადვილად დაშვება¹. ეგვეე ითქმის I პირის -ჰ-სთან ნაგულისხმებ ჰ-ს შესახებაც (ოთ-მზხ ← *ად-ჰ-მზხ, და სხვა).

ჩანს, I და II პირისათვის ორორი ფორმანტი უნდა ვივარაუდოთ: I-ისათვის — ხჰ-, *ჰჰ-, ხოლო II-ისათვის ხ-, *ჰ-. ხჰ- და ხ- დაცულია ხმოვნითდაწყებული ფუძეების წინ, ხოლო ჰ- უკვალოდ იკარგვის თანხმონითდაწყებულ ფუძეთა წინ და ეს-/ას- პრევერბის შემდეგ, ად- წინდებულს კი ექსოვება.

ტაბულა II

(სუბიექტური აფიქსები)

პირი	მხოლოდითი რ.		მრავლობითი რ.	
	A. ხჰ.დაწყ. ფ.	B. თანხმ.დაწყ. ფ.	A. ხმ.დაწყ. ფ.	B. თანხმ.დაწყ. ფ.
1	ხჰ-	-ჰ-, *ჰჰ- (ზრუნველან)	{ Si ლ- —-დ	ლ-ღ- —-დ
2	ხ-	0-, *ჰ- (ზრუნველან)	{ Se ხჰ- —-დ	-ჰ-, *ჰჰ- —-დ
3	ლ-, 0-	0-	ხ- —-დ	0-, *ჰ- —-დ
			ლ-, 0- —-ხ	0- —-ხ

2. კითხვა ისმის: რა მიმართებაში იმყოფება აქ პარალელურად მოცემული ხჰ- — *ჰჰ-, *ჰჰ- — -ჰ, ხ- — *ჰ- და სხვა ნიშანი ერთმანეთთან? განვიხილოთ მოძმე ენებში ხმარებულ ანალოგიურ ფორმანტებთან დაკავშირებით.

¹) ხ-ჰ: ხვ. ხეხუ ← *ჰეხუ 'ყოლი'. რადგანაც ქვემოხვანურში აგეხუ (76₂₁) გვაქვს (შდ. ბხ. ლიძქენი = ქესვ. ლიძქენი: ლშხ. 9₁₇ 'დაკლა', ბხ. მეჰად = ლშხ. მეჰად: 4₁ 'სულ'), ბხ. ხოხურა ← *ხოჰურა 'უმცროსი', შდ. მაჰტარენე (ლნტ. მაჰტარენე 'უფრო უმცროსი', ხორჰა 'უმცროსი'), ბხ. ჰოკერ || ხოკერ (ლშხ. ჰოკერ) 'ძირი, ძირს, ბოლო, ბოლოს, კვეშ'. ჰნდურდ || ხნდურდ (==ლშხ. ადღურდ) 'სულ', და სხვა (ЯВ, VII, 359. К вопросу афх. яз. 42. Ахем. 23. В Абхазии, 332).

A. 1. მეორე პირის ხ- ნიშანი ცნობილია ხანმეტითა და ხანმეტობის ნაშთით ქართულში. მისი წარმოშობა ჰ-საგან, როგორც ეს ზოგს მკვლევარს უდაოდ მიაჩნია, იმდენს ეკვს არ იწვევს, რამდენსაც სვანურში ხ-ს მიღება. ჰ-საგან. და ეს იმიტომ, რომ ქართულსა და სვანურს შორის ამ მხრით განსხვავებული მდგომარეობაა: პირველადი ჰ- ქართულში ყველგან ხ-დ მოგვევლინა: ხმოვნის წინაც და თანხმოვნის წინაც, სვანურში კი „დაიშალა“: ხმოვნის წინ ხ- მოგვეცა და თანხმოვნის წინ დაიკარგა. სწორედ ამაშია ფონეტიკური ხასიათის დაბრკოლებები: 1. რატომ ჰ- თანხმოვნების წინაც არ იქცა ხ-დ: რამ შეუწყო ხელი მის უქვალოდ გაქრობას? 2. თუ ჰ-ს შეეძლო ხმოვნების წინ „ფერისცვლება“ და ხ-დ გადასვლა, რატომ ვერ მოხერხდა ეს ად- წინდებულთან: უკანასკნელს ხომ მოსდევს ჩვეულებრივ ფარული (ამოღებული) ან „ხილული“ მაქცევრები -ა-, -ი-, -ო-? ¹ მაგ.:

1 ხვ. ოთ-კალბჷ ← ათ-ჷ-ა-კალბჷ (გავლენე) (უკანასკნელი ფორმა დაცულია
2 ათ-კალბჷ ← ათ -ა-კალბჷ ლენტეხურში)

1 ბხ.ლნტ შთ-ჷ-ი-გ, ლშხ. ოთ-ი-გ ← *აღ-ჰ?ჷ-ი-გ (დავიდგი) ბჟვ. ოთ-ი-ბ (დავიბი)
2 შთ ი-გ ეთ-ი-გ ← *აღ- ჰ?-ი-გ შთ-ი-ბ

და C. ჰ- თუ ად-ს შეერწყო და კვალი დატოვა, ეს/-ას- პრევერბის მეზობლად ვერ „გაძლო“ და გაუჩინარდა, მაშ როგორღა მოხდა, რომ ან- წინდებულთან ხ- წარმოგვიდგინა? მაგ.:

1 ხვ. ოხჷ-ასყ, ლნტ. ახჷ-ასყ, ლშხ. ოხჷ-ასყ ← *ან-ხჷ-ასყ (გავაკეთე)
2 ა ხ-ასყ ა ხ-ასყ ა ხ-ასყ ← *ან- ხ-ასყ და სხვა.

ვიდრე ამ კითხვებზე გარკვეული პასუხი არ იქნება გაცემული, მანამდე ჰ-სა და ხ-ს ურთიერთობის საკითხი ღიად დარჩება. მეტსაც ვიტყვი: სვანურში არამცთუ ჰ-ს პრიმარობაა საძიებელი, არამედ პრეფიქსი რომ იყოს. ჰ-, ეს ჯერ კიდევ სვანური მასალებით არ არის დამტკიცებული (§ 4, შნშ.). სამაგიეროდ ქართველურ ენათა შედარება ჰ-ს სასარგებლოდ ლაპარაკობს: 1. ხანმეტის ხ- შეუძლებელი არ არის ჰ-საგან იყოს წარმომდგარი და 2. მეგრულ-ქანურში არსებული ნულპრეფიქსი უთუოდ შედეგია ოდენსმე გამოყენებული ან თეორიულად მოსალოდნელი ჰ- თავსართისა, ამდენად შესაძლებლობა არის, რომ პრექართულში II პირის ნიშნად ჰ- გამოვაცხადოთ. და თუ ეს ასეა, მაშინ ჰ-ს არსებობის დაშვებას სვანურში რაღა ელოდება წინ? სვანური ხომ პრექართულის ნაყარია, მისი ერთერთი შტოთაგანი! მასაც ხომ შეეძლო საერთო „ქონებიდან“ წამოეღო ჰ- და დროთა ვითარებაში მოეცა ის სახეობანი, რომლებთანაც ჩვენ ზემოთ საქმე გვქონდა! მაშასადამე, II სუბ. პირის თავსართებში „ძირითადი სახეა ჰ, რომელიც... ხ'ანად არის ქცეული და მხოლოდ ხმოვნების წინ გვხვდება“ (უმლ. 182, შნშ.). ამ დებულებას ჩვენ ვიღებთ.

¹) ასეთი კითხვა დასვა სტფე. ჩხენკელმა (1925 წლ. ოქმი № 14/10).

2. პირველი პირის *ჰჷ-, ხჷ-¹ პრეფიქსებში, უკანასკნელი (ხჷ-) თუნ-
დაც *ჰჷ საგან იყოს წარმომდგარი, ძირითად ელემენტად -ჷ- მიგვანია,
*ჰ-, ხ- კი სხვა წარმოშობისაა². -ჷ-ს პრიმარობას სვანურში ამართლებს:
ერთის მხრით მოძვე ენებში გამოყენებული ვ-³ და მეორის მხრით თვით
ლენტეხურში ხმარებული მ-. მ- გვხვდება საარვისო ქცევის ფორმებში
გ- ხმოვნითდაწყებულ ფუძეთა წინ:

1 მ-გრდი (ვზრდი)	მ-გთრე (ვსვამ)	მ-გგემ (ვაგებ)	მ-გრხი (ვქნი ლობიოს...)
2 ხ-გრდი	ხ-გთრე	ხ-გგემ	ხ-გრხი
3 გრდი	გთრე	გგემ	გრხი

1 მ-გრმი (ვიპერ)	მ-გლწი (ვწებავ, „გვანუნქ“)	მ-გრში (ქვეშსაგებს ვშლი,
2 ხ-გრმი	ხ-გლწი	ხ-გრში ლოგინს ვაგებ)
3 გრმი	გლწი	გრში

მ- გვხვდება ღროთა მეორე ჯგუფშიც. სანიმუშოდ აორისტი კმარა:

1 შ'ა-მ-გრდ (აღ-, გაეზარდე),	ლა-მ-გშ (დავლიე),	ჩჷ ა-მ-გგ (აეაგე),	ა-მ-გრხ (გაჯენი)
2 შ'ა-ხ-გრდ	ლა-ხ-გშ	ჩჷ ათ-გგ	ათ-გრხ
1 ჩჷა-მ-გრმ (დავიპირე)	ჩჷა-მ-გრშ (ლოგინი ვაეშაღე)		
2 ჩჷათ-გრმ	ჩჷათ-გრშ		და სხვა

ამათ დაეუმატებთ აგრეთვე აორისტსა და კონიუნქტივ IIში მ- პრე-
ფიქსით წარმოდგენილ ერთ ზმნას:

აორისტ	1 შ'ა-მ-გი (აღვდეგ)	სუბიექტ	შ'ა-მ-გენ (ავდეგ)
	2 შ'ა-ხ-გი		შ'ა-ხ-გენ
	3 შ'ან -გან შ'ან-გვან		შ'ან-გენს

მოცემულ ზმნებში I მ. მ- უპირისპირდება II პირის ხ- ნიშანს. აშკა-
რაა, აქ იგი I პირის სუბ. პრეფიქსის ჷ-ს ნაცვალაია. უკანასკნელზე „გამ-
ძღე“ც არის: მას ძალუძს პრეფერბისეული -ღ- დაკარგოს (ჩჷ ა - მ - გ გ, შდ.
ჩჷ ათ - გ გ), რასაც ასე მოკლებული იყო *ჰჷ- თავსართი. მ ს გამოვლენა თე-
ორიულად მოსალოდნელი ჷ-ს საკითხს გადაკრილად გვათვლევინებს. მ-ს წინ

¹) აკად. ნ. მარის აზრით „Сванский сохранил эквивалент местоименной основы I-го лица со спирантом — ჰჷ, с подъемом ჰ в ხ — ხუ. что повседневно в I-м лице глагольных форм (Ахсм, გვ. 22-23. მაგრამ ხუ- რომ „повседневно“ არ არის, ამაში ქვემო-
მოყვანილი მაგალითები დავგარწმუნებს.

²) მ. შუხარდტის აზრით ეს ხ- (S₁ ხჷ-ში) შესაძენ პირის ობიექტურ პრეფიქსს წარ-
მოადგენს (Swan. 48, შდ. 55), ხოლო აკ. შანიძის სიტყვით „წეორე პირის სუბ. პრეფიქსი
პირველ სუბ. პირშია გადასული ანალოგიის წყალობით“ (უბლ. 184, შნშ.).

³) მეგრულ-კანურში ვ-ს ვარიანტები მ, ფ, მ... ფონეტიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული
(მეგრ. გრამ., § 67. კან. გრამ., § 73).

ხ-სა თუ *ჰ-ს ადგილი არა აქვს. ამდენად ჟ- I პირის ძირითად პრეფიქსად¹ შეიძლება მივიჩნიოთ (Swan. 48)².

თუ რა გენეტური ურთიერთობაა მ-სა და ჟ-ს შორის, რომელია პირველადი: მ- თუ ჟ-, ეს საკითხი მომავალში გადაწყდება, ისე კი „ექვი არაა, რომ... [ესენი] ერთობლივად ფონეტიკურ მასალის სხვადასხვა სახე“ს წარმოადგენენ (წინადად. პროზლ. 210, შწშ. Ахем., § 22. Справн. 663. 9, 15), და შეიძლება მ- უძველესიც იყოს...

3. მესამე პირის გამოხატვაში სვანური და დანარჩენი ქართველური ენები ზოგჯერ საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: უკანასკნელნი იყენებენ სუფიქსებს, რომელნიც იცვლებიან დრო-კილოთა მიხედვით, სვანური კი სუფიქსებს გარდა პრეფიქსსაც მიმართავს. ასეთად ლ- იყო ზემოთ გამოყოფილი. რა შეესატყვისება მას მოძმე ენებში? თუ მოვიგონებთ, ა. რომ მეგრულ ქანურში III პ. სუბ. ბოლოსართს გარდაუვალ ზმნებში -ნ წარმოადგენს, ბ. რომ ეს -ნ გარდამავალ ზმნებშიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ მას ქართულიდან შეპირილი -ს შეენაცვლა და მის მაგიერ უკანასკნელი იხმარება, ც. რომ ეგვეე -ნ ძველ-ქართულში III პ. ფორმანტად ხშირად გვხვდება და მ. რომ -ნ მხოლოდ III პ. აღნიშნავს (ქან. გრამ., § 73 ხ და § 109. მეგრ. გრამ., § 67 B ხ და წინადად. პროზლ. 209, შწშ. 1), მაშინ, ცხადია, სვან. ლ-სა და ქართულ-მეგრ.-ქანური -ხ'ს ექვივალენტობის საკითხი დაიბადდება. მართლაც, მორფოლოგიურად მათ შორის სრული იდენტობაა: უჩვენებენ სუბ. III პირს, დროისა და რიცხვის კატეგორიების გამოხატვა მათს ფუნქციას არ შეადგენს. გენეტურადაც ლ- და ნ- შორებულნი არ არიან: პირველის უკანასკნელისაგან მიღება თავისუფლად შეიძლება, და ჩვენც ასე ვვარაუდობთ: III პირის ნიშანი წინარქართულში უნდა ყოფილიყო ხ-, რომლის შეცვლილი სახე (ლ-) სვანურმა შემოგვინახა, ხოლო „შუთრყვენლად“ იგი დანარჩენებმა დაიცვეს³. ლ-ს თავსართობა და -ხ'ს ბოლოსართობა კი ჩვენს დებულებას ვერ არყევს, რადგანაც შეუძლებელი არ არის *ნ ფორმანტი მოძრავი ყოფილიყო: იგი ხან არეფიქსად მოგვლინებოდა და ხან კიდევ სუფიქსად (1925 წლ. ოქმი № 14/23). დროთა სვლამ თავისი „დალი დააჩნია“: თავსართად გახდა სვანურში, ბოლოსართობა დააკისრა დანარჩენ ენებში. ლ- პრეფიქსს ყველა ზმნაში III პ. ფორმა უნდა მოეცა, მაგრამ ხუთიოდე შემთხვევის გარდა ლ- ელემენტის ჩვენამდე არ მოწეულა.

¹) ამ დებულებას ვერც ნეგრულნი არსებული (და პროფ. ალ. ცაგარლისა და ი. ყიფშიძის აზრით II პირის ანალოგიით I პირში გადმოსული: Справн. 663. გვ. 16. მეგრ. გრამ., § 67 B a) -ქ სუფიქსი შეარყევს. -ქ'ს II პირის გამოხატველ ფორმანტად მიჩნევა ჯერ კიდევ საეკვა: რიგი მოსაზრებათა მის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს.

²) მ- გ რ დ ი || ხ რ დ ი (← * ხ ე - გ რ დ ი). ჩ ე ა - მ - გ გ || ჩ ე ა თ უ გ (← * ჩ ე ა თ ე - გ გ), ლ ა - მ - გ ე || ლ ა - ხ ე უ შ (← * ლ ა - ხ ე - გ შ). ე ' ა - მ - გ ი || ე ' ა - ხ ე - გ ი და სხვათა პარალელობა სწორედ ამის დამამტკიცებელია.

³) ლ- რომ -ნ-საგან არის წარმომდგარი, ამის დასაბუთება ფონეტიკისა და მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხის გაშუქების დროს გვექნება ნოცემელი (ჯერჯერობით ავტორის: ნე- ნი- ნა- პრეფიქსებისათვის ქართულში).

B. გასაშუქებელია მრავლობითის ფორმანტები -დ და -ხ. Siს ლ- ნიშანს კი ობიექტური პრეფიქსების განხილვისას შევხებით (§ 6 C 2).

¹ ანალოგიური მაგალითების (როგორცაა ლოგოვ: Ros. 62, უნდა იყოს: ლწხ. ლო-გ ო მ 'მოგვცა') მიხედვითა აქვს გ. რ ო ზ ე ნ ს 1 პირის ნიშნად მრავლ. რიცხვში გ- გამოყოფილიო (Ros. 62, 65 = Grundriss, 200), ეთიპურბდით, რომ მთელი რიგი გვ-პრეფიქსიანი შემთხვევებისა მასვე არ ჰქონდეს მოყვანილი (გვ. 67, 68). გ. რ ო ზ ე ნ ის შეუთოვას ფრ. ბ ა უ ლ ე რ ი ც იმეორებს (Grundriss, 200).

ლხმ.: ¹ ქაგუ-ტიხ (გამოგვიბრუნა), ქაგუ-ტაბა ² (გაგვითლია), აგუ-ტიხ (დაგვაბრუნა), ლაგუ-ტესა (დაგვბრუნებია), ეგუ-გემის || ეუ-გემის ² (← = ეს-გუ-გუე-შის დაგვასხას), და სხვა (§ 3 B, შნშ. 3).

(შდ. ლაშხური: ოგ-ფიშირ. 18₂₀ ← * ად-გუ-ფიშირ = ზხ. უნფიშირ გაგვიმ-რავლე, ოგ-ჯგირედ 42₁ ← * ად-გუ-ი-ჯგირედ = ზხ. უნჯგირედ გვიკურთხეთ, და სხვა).

C. O, ჯ- ეცერულსა, ლაშხურსა და ჩვეულებრივ ლახამულურში თანხმოვნის წინ ჯ-დ ისმის:

ჯღრ.: აჯკუტიშა აჯკუტიშა	(გაგიტეხია).	ლახმ.: აჯტიხ (დაგაბრუნა)
აჯკუტეშა აჯკუტეშა	(გაგტეხია)	აჯკუტიშ (გაგტეხა)
აჯღიგა აჯღიგა	(გაგიქრია)	ქაჯტიხა (დაგობრუნებია)
აჯყიდა აჯყიდა	(გიყიდა)	ქაჯტაბა (გაგითლია)

და ლაშხური: ეჯკალუა || ეჯკალუა (გაგილეწავს), აჯკალუენა || აჯკალუენა (გაგილეწავს), შიშდ ჟი ლოქ აჯხუტებ (70₁₀ მაშინვე მოგსპობსთო, გაგწყვეტსთო, შდ. თანხუტე: 64₃₀ მოსპობს, გაელეტს), ლიმარგ ბაზი¹ ლოქ ეჯკემინი (62₄)² ეაქაქობა (ვარგისობა) ამაღამ გაგეგებაო (გამოგინდებო).

შენიშვნა. ჯ- იშვიათად ემსგავსება მომდევნო ყრუ თანხმოვანს და იქცევა ჩ-დ³: ლხმ. რაშალ ლოქ ეჩხრლიხ⁵ (64₁₆ რაშები დაგხედუ-ბიანო).

ნ ი მ უ შ ი.

ინკლუზიე-ექსკლუზივის საილუსტრაციოდ მაგალითები დაბეჭდილი ტექსტებიდან მოვიყვანოთ:

Si: მი ი სი ერქვდა ეშუე გვარიშ ლიშდ (X, 248₉) მე და შენ ორივე ერთი
 [მი ი სი აერქვდა ეშუე გუარიშ ლიშდ] გვარისა ვართ
 ნაი ბაჩმუყ დოშ ალჩადდ (X, 246₂₇₋₂₈) ჩვენ ქვასთანქვერ მივე-
 [ნაე ბაჩმუყ დეშ ალჩადდ] [დით]
 მალო იმ ლიჩოდ? (X, 162₃₁) აბა რას ვიზამთ

Se: ნაი ქა-ეჯყოლვად თვეთნაშ ბაჩთეისგა, ჩვენ გაგიძღვებით
 მარე ნაი ხვაჰკეპარიდ (X, 248₁₋₂) თეთრ ქვისაკენ(ში),
 [ნაე ქეჯყოლად თვეთნა ბაჩთესა⁶. მარე ნაე ხვაჰკეჰარიდ] მაგრამ ჩვენ ფფიქრობთ
 მეთური ნიშგვეი... ნაი დეშ ახემეკრედ (X, 250₂₈₋₂₉) მასწავლებლო ჩვენო...
 [მეთური ნიშგვეი... ნაე დეშ ახემეკრედ] ჩვენ ვერ გავიგეთ

¹ იფარული მულახურ-ვესტიურს მისდევს, ოღონდ ლახამულურისა და ლენტეხურის მაგვარად ა-ასიმილაციის გარეშეც გვხვდება: ა გ უ-ბ ა ტ ჟ ე (დაგვაბრა), ა გ უ-ჰ ე და (ნოგვსე-ლია). და სხვა.

² ნოგჯერ -გ- არ ისმის: ქ ა ჟ-ტ ა ბ ა, ე ჟ-გ ე შ ი ს.

³ შდ. ლხმ. ე ჟ ჟ ი (2₂₀) || ე ჟ ი (62₁₀ ისე), ე ჟ ხ უ მ, (3₁₀) || ე ა ხ უ მ (62₃ იმდენი), და სხვა.

⁴ იშვიათადვე პრეფერბისეული ხ-ს წინ ჯ- ისე ისმის ლენტეხურში, თითქოს ც- არისო: ა ე ს ჟ დ ჟ ა | - ა ჯ ს უ დ ჟ ა | ა ჯ ს უ დ ჟ ე (მიგაქეს), და სხვა.

⁵ განასწორებინეს: ეჯხრლიხ || ეახრლიხ.

⁶ უნდა იყოს: ბ ა ხ თ ე ქ ა.

	ნაი ჩუ-ხეიროდ (X, 252 ₁) [ნაჲ ჩუ ხჷ.ჩოჲ]	ჩეენ (ქეე) ვიზამთ
Oi:	მი ი სი... გვირდა ბაჩა ნესგა-ისგა (X, 248 ₈) [მი ი სი... გჷ.ჩ.და ბაჩჷ ნჷ-გაჲსგა] აღო ნაი ჟი-გვებგვენ ეჯ თეთონე ბაჩ (X, 246 ₂₈) [აღო ნაჲ ჟი გჷებგვენ ეჯ თეთონე ბაჩ] ნაი აგვლეღი... ლიქჷი (X, 250 ₂₃₋₂₆) [ნაჲ აგვლეღი... ლიქჷი.]	მე და შენ ვყოფილვართ ქვის შუაში თორემ ჩვენ ვიპოვი- დით თეთორ ქვას ჩვენ გვეღის... ზიდვა (ტიერთისა)
Oe ¹ :	მუთვრი ნიშგევი... ჟი-ანმეტრავენ (X, 250 ₂₈₋₂₉) [მუთჷრი ნიშგჷვი... ჟი-ანმეტრ.ჷტ.ენ] ღიარ ნიშგვე ლასადღ ლანო ნა (X, L ₉) [ღიარ ნიშგჷვე ლასადღ ¹ ლანო ნაჲ]	მასწავლებლო ჩვენო... გაგვაგებინე პური ჩვენი სარჩო ¹ დ ¹ მოგვეც ჩვენ (ძვ.- ქართ.: პური ჩუენი არ- სობისაჲ მომეც ჩუენ)
შდ.	ლაშხური: ღიარ გუშგვე მესნლვე ლოგო ნაჲ (94 ₈₋₉) მადეი ანიტხ ხოლამხანქა (X, L ₁₇₋₁₈) [ანდე. ანიტხ ხოლამხანქა]	პური ჩვენი მარჩენალი მოგვეც ჩვენ არადა გვიხსენ ცუდი- საგან (ძვ.-ქართ.: არა- მედ მიჰსენ ჩუენ ბო- როტისაგან)
ლშხ.:	ქრგვიყ კუმატხენქა (94 ₁₁) ღეინალ ანიტღ (X, 180 ₁₇) [ღჷ.ენალ ანიტღ ¹] ჯეთონი ² ჰა მომა, აჩაშ მამა ნიხალ (X, 180 ₂₆) [ჯეთონი ჰა ნაჲ. ეჩაშ ნაჲ ნიხალ]	გამოგვიყვანე კვიმატი- საგან ღეინო მოგვიტანე დაგებადება თუ არა, იმის არ ვიცით

¹) Sსა და Oეს ფორმანტები კარგად არის წარმოდგენილი ი. ბართოლომეის მიერ პირველად გამოკვეთებულ მუ ნიშგვე¹ში (Зап. Г. О., III, გვ. 223. ბზ. მუ ნიშგჷვე მამო ჩვენო), ხალო Лушчу Анбаниში გამოცემულსა და აქედან შემდეგ СМში მ. ხა-ვეად სკის მიერ გადაბეჭდილ ამავე ლოცვაში მუ ნიშგვე შეცვლილია მუ გუშგვე (Ан-бани, 14) და მუ გვიშგვედ (СМ, X, გვ. L). უკანასკნელი ფორმა Анбანის ტექსტის გავ-ლენით უნდა აიხსნებოდეს, და არა უშგულურის თავისებურებით (იხ. § 6 Б, შდ. გვ. 26, წმ.). Анбани.ს ენის შესახებ კი საერთოდ შემდეგი ითქმის: მასში ფორმები იმდენად არეულია და ზოგჯერ გაუგებარეც (სტამბურ შეცოთებზე არას ვაზიბობთ), რომ სრულგვით სანართ-ლიანად გეჩვენება, როგორც ანას ა. სტოიანოვი გადმოგვეცნს, მისი ერთერთი შექმდე-ნელის, მღ. თეთონე კორძაიას (თეარის თემიდან) განცხადება: „... анбука эта со-ставлена наскоро. без особой тщательности, так-что многие из ея фраз исподныи сваиетским детям“ (Зап. Г. О., X, გვ. 428). საყურადღებოა აგრეთვე ეს ცნაბაც: „...Лушчу Анбан“, которой свиаетские дети не понимают... тот-же о Феофане... отвергает свое детище „Лушчу Анбан“, так-как оно хотя и соотнозилось при его содѣиствии, но не им одним“ (ib., 203). ამიტომ ამ წიგნში მოცემული ისალები ჩვენ არ განვიხილავს.

²) ჯეტონი კორექტორული შეცოთება.

მზგ ჯგესმი, აღო ნწ დესამა ნესმი (XVIII, 113,) ყველაფერი გესმის,
[წაგ ჯგესმი, აღო ნწა დესამა ნესმი]¹ თორემ ჩვენ არაფე-
რი გვესმის

და სხვა მრავალი

ლიტერატურა

პართა ფორმანტები

I. საფუძვლიანად აქვს განხილული:

1. ჰუგო შუხარდტს, Swan. 37—55.
2. აკაკი შანიძეს ოქები 1924 წლ. № 23 და 1925 წლ. № 11-ზე. უკლ. 182, 190, და სხვა (უკანასკნელში ხნის პარადიგმებიც ბლომად მოიპოვება).

II. რანდენიე აფიკსი რიგიანად გამოუყვიათ:

1. პ. უსლარს. Gram. очерк, 113.
2. მ. წერეთელს, Sumer-Georg. 11—13.
3. ნ. მარს, Ахем., § 22, და სხვა ნაშრომში,
4. აღოლფ დირს. Einführ. 120, 122.

III. განოუცალკეებლად ხნებში შედარებით კარგად აქვს წარმოდგენილი:

1. ნ. ხავადსკის. СМ, X, გვ. XIV—XXXII, ტაბ. I, II (= Einführ. 120-126).
2. ნ. ჯანაშვილს. წართ. გრამ. 36. 77-79, 86-90, 97-98, 106-107, 114, 121,
3. ს. ხუნდაძეს, ქართ. გრამ. 209—210,
4. თაიხუფალ სენს. სენ. გრამ. 92—95.

IV. წეტონებით აქვს ხიგი ნიშანი გამოცალკეებული და ხნებშიც წარმოდგენილი:

1. ი. ბართოლომეს. Выхн. Слани. 219-223 (= ა. სტარჩევსკის, Толмац, 657-658),
2. გეორგ როზენს. Ros. 62-62, 64-70 (= აღ. ცაგარელს, Справ. ош. 18-19, შდ. 9, 15.
Граш. шит. 76=ფრ. მფულერს, Grundriis, 200),
3. რ. ფონ ერკერტს. Sprach. 360-361, 363-364,
4. ა. გრენს. СМ. X. გვ. 155-158.

¹) ტექსტებიდან ამოღებული მაგალითები შესწორებულია მულახური დიალექტის მიხედვით და ოთხკუთხე ფრჩხილებშია ჩასმული.

თავი მეორე

ზმნების კლასიფიკაცია

8. მორფოლოგიურისა და სინტაქსური თვალსაზრისით სვანური ზმნები მცირედ განსხვავდება მოძმე ენების, განსაკუთრებით ქართულის, ზმნებისაგან. რადგანაც უკანასკნელნი სპეციალ ლიტერატურაში დაწვრილებით გამოწვლილულნი არიან და სვანური ზმნები მათთან ტიპოლოგიურად ძალიან ახლოს დგას. ამიტომ სიტყვას მოკლედ მოვკრით.

A. მორფოლოგიური თვალსაზრისით

1. ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი. პირველი (ერთპირიანი) აბსოლუტურის საეულწოდებით არის ცნობილი, ხოლო დანარჩენი (ორ- და სამპირიანი) — რელატიურისა. უკანასკნელნი რიცხვით გაცილებით მეტნი არიან აბსოლუტურებისაზე. დიდი წილი აბსოლუტურებისა რელატიურდება:

	ზსვ.ლნტ.	ბზ.ლშხ.	შდ. ლენტ.
1 ხუ-არი (ვარ):	მ-ირი (მივის)	მ-არ (მაქეს)	მ-არ'ი ← არი ფუძი-
2 ხ-არი	ჯ-ირი	ჯ-არ	ჯ-არ'ი საგან
3 არი	ხ-ორი	ხ-არ	ხ-არ'ი
1 ხუგ (ვდგაეარ):	ბზ.ლშხ. მ-ნგ (მიდგას);	მ აგ	ბჟვ. მ-აგ (მადგას)
2 ხ-გგ	ჯ-ნგ	ჯ-აგ	ჯ-აგ
3 ლ-გგ	ხ რგ	ხ-აგ	ხ-აგ

და ასე: ზსვ.ლშხ. სგურ, ლნტ. სკურ (ზის): მ-ასგურ, მ-ასკურ (მაზის), ხ-ასგურ, ხ-ასკურ (ა/უზის), ხ-ოსგურ, ხ-ოსკურ (უზის), ასგურე, ასკურე („აჯენს“), და სხვა.

ქართულის არის, კაცობს, სახლობს და სხვათა მსგავსად რამდენიმე ზმნა სვანურში მხოლოდ აბსოლუტურია: მათგან რელატიური ფორმების მიღება ვერ ხერხდება:

1 ხუ-ი (ვარ)	ზსვ. ხუ-ასუ (§ 1 A 4) (ვიყე)	ბზ. ესლური, ლნტ.	ასხური (პიედივარ)
2 ხ-ი	ხ-ასუ	ესლრი	ასხრი
3 ლ-ი	ლ-ასუ	ესლრი	ასხრი

2. რელატიური ზმნა ორი წყობისა გვხვდება: სუბიექტურისა და ობიექტურისა აირველი წყობის ზმნათა ფუძეს თავში სუბიექტური ნიშნები აქვს დართული, ხოლო მეორე წყობისას — ობიექტური:

წყობა:	სუბიექტური	ობიექტური
1 ბზ.	ხტ-აშარდე მი ეჩას ვ-ამშვილებ მე მას მ-აშარდე ეჯა მი მ-ამშვილებს იგი მე	
2 ლშზ.	ხ-აშარდე სი	ამშვილებ შენ „ ჯ-აშარდე სი გ-ამშვილებს „ შენ.
3	აშარდე ეჯა	ამშვილებს იგი „ აშარდე „ ეჩას ანშვილებს „ მას

ჩვეულებრივ ზნები ან სუბიექტური წყობისაა, ან ობიექტურისა. მათი გარჩევა I და II პირშია გაადვილებული. მოუხერხებელი არ არის მათი ერთიდან მეორეში, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გადაყვანა“. ზემო პარაღმებშიც ამის საილუსტრაციოდ გამოდგება: ხტ-აშარდე, — მ-აშარდე. მეტსაც ვიტყვი: ჩვეულებრივი ობიექტ. წყობის ზნა ხშირად სუბ. წყობისად წარმოგვიდგება:

1 მ ალბტ — ხტ-ალბტ (§ 5. A.)	მ-იერი (მ-ეცოდება) — ხ-ოერი (ვ-ეცოდები)
2 ჯ-ალბტ — ხ-ალბტ	ჯ-იერი (გ-ეცოდება) — ხ-ოერი (ეცოდები)
3 ხ-ალბტ — ხ-ალბტ	ხ-ოერი (ეცოდება) — ხ-ოერი ¹ (ეცოდება)

და ასე: ბზ. ლშზ. მ-შშლნი (მავიწყდება), ჯ-შშლნი (გავიწყდება) — ხტ-შშლნი (გავიწყდები), ხეშლნი (ავიწყდები), ჯ-აყა (გყავს) — ხაყა (აყავხარ), და სხვა.

მაგრამ არის არცთუ იშვიათი შემთხვევა, რომ ობიექტური წყობის ზნა ვერცერთ გარემოებაში ვერ იქცევა სუბიექტურისად:

1 მ ულტა/ე (მაქვს)	ხვ. მ-აეხა, ლნტ. მ-აეხა (მქვია)	ხვ. ლნტ. მ-ჰად (მშია)
2 ჯ-ულტა/ე (გაქვს)	ჯ-აეხა	ჯ-აეხა (გქვია) ჯ-ჰად
3 ხ-ულტა/ე (აქვს)	ხ-აეხა	ხ აეხა (აქვია) ხ-ჰად, და სხ.

ბ. ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი თვალსაზრისითაც ზნები ორად იყოფა: გარდამავლად და გარდაუვალად.

1. გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ა დ იწოდება ის ზნები, რომელთაც მათ მიერვე მართული ორი ან სამი სახელი ახლავს. მათ შორის ერთი სუბიექტი, დანარჩენი კი ობიექტს წარმოადგენს. აწყყოს ჯგუფში წარმოებულ ზმნასთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია მოქცეული, ხოლო ობიექტი — ერთი იქნება ის, თუ ორი — მიცემითში გვევლინება. ამისდამიხედვით გარდამავალი ზნები ორდა სამ-სახელიან ან ერთობიექტიან და ორობიექტიან² ზმნებად დავაჯგუფოთ:

ერთობიექტიანი (ორსახელიანი)

	ხვ.	ლნზ.	ლნტ.		
1 მი	ხტაქრე	ხტაქრენი	ხტაქარე	ეჩას, ეჯაჰარს ³	მე ვალბ მას, მათ
2 სი	ხაქრე	ხაქრენი	ხაქარე	ეჩას, ეჯაჰარს	შენ ალბ მას, მათ
3 ეჯა	აქრე	აქრენი	აქარე	ეჩას, ეჯაჰარს	ის ალბ მას, მათ

¹ მესამე პირი კი, როგორც ვხედავთ, ყოველთვის ობიექტური წყობისა არის.

² ერთობიექტიან და ორობიექტიან ტერმინა ჩემი ყურადღება არნ. ჩიქობავამ ნიჰაცია.

³ ე. წ. პიროვნებითი ნაცვალსახელები ბალსუნოზურიდანა აღებული. დიალექტები მათ (ში და ხის გარდა) შეცვლილი სახით წარმოგვიდგენენ (მაგ.: ბზ. ბგ. ს გ ა მ, ლნზ. ს გ ა მ, ეცრ. ს გ ა, ლნტ. ს კ ა 'თქვენ', ბზ. ე ჯ ა, ბქვ. გ. ე ჯ ი 'იგი', და სხვა).

- 1 ბზ. მი ხტუმნე ერას, ეჯაჲრს — ერას, ეჯაჲრს მე ვაჲმევე მას, მათ — მას, მათ
- 2 ლზ. სი ხამნე ერას, ეჯაჲრს — ერას, ეჯაჲრს შენ აჲმევე მას. მათ — მას, მათ
- 3 ეჯა ხ მნე ერას, ეჯაჲრს — ერას, ეჯაჲრს იგი აჲმევეს მას. მათ — მას, მათ

როგორც კი მოყვანილი ზნებები აორისტიის ჯგუფში მოყვება, მყის სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში მოქცევა, ხოლო ობიექტი სახელობითში, მეორე ობიექტი კი, თუ არის, იმავე მიცემითში დარჩება:

	ზს.	ლზ.	ლტ.		
1	მი ¹	ოთჲარ	ოთჲარ	ჩტაქტჲარ	ეჯა, ეჯაჲრ მე გაველე იგი, იგინი
2	სი	ათჲარ	ათჲარ	ჩტაჲარ	ეჯა, ეჯაჲრ შენ გაველე იგი, იგინი
3	ეჯნჲმ ²	ა დ კ ა რ ე	ჩტაჲარ	ეჯა, ეჯაჲრ	მან გაველე იგი, იგინი

- 1 ბზ. მი ხტუმინ³ ეჯა, ეჯაჲრ — ერას, ეჯაჲრს მე ვაჲმევე იგი, იგინი — მას, მათ
- 2 სი ხამინ ეჯა, ეჯაჲრ — ერას, ეჯაჲრს შენ აჲმევე იგი, იგინი — მას, მათ
- 3 ეჯნჲმ ხამნე ეჯა, ეჯაჲრ — ერას, ეჯაჲრს მან აჲმევე იგი, იგინი — მას, მათ

ჩანს, გარდამავალი ზნის დახასიათება შეიძლება ან სუბიექტის, ან ობიექტის მიხედვით. თუ სუბიექტი აწმყოს ჯგუფში წარმოებულ ზნასთან სახელობითშია და აორისტიასთან — მოთხრობითში, ზნა აუცილებლად გარდამავალია. ეს პირობა სრულებით საკმარისია უკანასკნელთა გამოსაცნობად. ობიექტის მიხედვითაც ხერხდება მათი განსაზღვრება: აწმყოს ჯგუფის ზნასთან მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი ობიექტი თუ აორისტიის ჯგუფში დაყენებულ ზნასთან სახელობითში გადავიდა, აშკარაა, ზნა გარდამავალია. ესეც საკმაო პირობად მიიჩნევა მათ გამოსაყოფად. ამგვარად, გარდამავალ ზნას სუბიექტი სახელობით-მოთხრობითში (ფორმულა: S¹⁻²) ევლინება, ხოლო ობიექტი მიცემით-სახელობითში (ფორმულა: O¹⁻²). დასკვნა: ყოველი ბრუნვა-ცვალებადსახელებიანი (ბრუნვა-ცვალებადობიექტიანი) ზნა გარდამავალია.

¹ ხლოვნიტდაწებული ზნების წინ ე. წ. პიროვნებით ნაცუალსახელთა ხმარებისას განსაკუთრებით ორს ფონეტიკურ ზოვლენას ურჩება ადგილი: ელიზიასა და კრასისს. პირველ შემთხვევაში მ ი და ს ი სახელები - ი ს მოკვეციტ, რასაც აპოსტროფით გამოხატავენ ხოლმე, ხლოვნიტდაწებულ ზნებს უფრთდება, მაგ.: მ¹ ო თ კ ა რ, ს¹ ა თ კ ა რ. და სხვა (შდ. § 16 C 1. ეს მოვლენა აღწერილი აქვს თავისუფალ სვანს: სვან. გრამ. 86—87. მაგალითებისათვის იხ. Грам. сван., 110. უმლ. 212. Einführ. 114). მეორე შემთხვევაში კი ეჯა-ს შერწყმით ზნის თავიღღრი ა- ან ე- გრძელდება ბალსხემოფრში, მაგ.: ეჯა ჩ ა ნ დ (— ეჯა ა ჩ ა ნ დ იგი წვიდა), ეჯ. მ ს ღ რ ი (— ეჯა ე ს ღ რ ი იგი მოდის) და სხვა. ესა და სანდჲის სხვა წესები ფონეტიკაში გვექნება დაწერილებით განსილული. აქ კი, ზნა რომ უფრო ნათლად ყოფილიყო წარმოდგენილი, ეს წესი არ დავიცავით.

² იხმარება ეჯნჲმ¹ იც.

³ ლაშხურად: მ ი ხ ტ მ მ გ ნ, ს ი ხ ნ მ გ ნ, ე ჯ ნ ე მ ხ ნ მ ნ ე. ბჲვ-ლტ. ხ ტ ა მ ი ნ, ხ ა მ ი ნ, ხ ა მ ნ ე.

⁴ „აუცილებლად“ იმითომ ვამბობთ, რომ ახალ-ქართულის ზნებთან შედარებით სვანურისას ერთი უპირატესობა აქვს: გარდაუვალებთან სუბიექტი მ ხ ო ლ ო დ სახელობითში გვევლინება (შდ. თანამედროვე ქართულში გავრცელებული: კ ა ც მ ა შე ე კ ი თ ხ ა, ა მ ხ ა ნ ა გ მ ა და ა ი რ და, და სხვა).

მეორე — მიცემით ბრუნვაში დასმული - ობიექტი (ფორმულა: O²) გარდამავლობის დასახასიათებლად მხედველობაში არაა მისაღები.

2. დანარჩენი გარდაუვალია. ესენი უმთავრესად სუბიექტის მიხედვით განისაზღვრებიან. დროთა ორსავე ჯგუფში დაყენებულ ზმნასთან (ალსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი აორისტში არ იწარმოება) სუბიექტი მხოლოდ სახელობით ბრუნვაში (ფორმულა: S¹) გვხვდება:

	ბალს.	ლაშხ.	ბს.	ლშხ.
1 მი	ხტიგნალ	ხტიგნალ	მი ოხტგა/აჲ ¹	ოხგე მე ავდგვი
2 სი	ხიგნალ	ხიგნალ	სი ა ხგა/აჲ	ახგე შენ ადგვი
3 ეჯა	იგნალ	იგნალ	ეჯა ანგგან	ანგან იგი ადგა

და ასე: ეც.ლნტ. ეჯი, იუტნალ (იგი წყება) — ეჯი ეცრ. ჩუადყურდა, ლნტ. ჩუადყურდა (იგი დაწვა), ხს.ლშხ. ეჯა დეგნი, ლნტ. დეგენი (იგი ქრება) — ბხ.ეცრ. ეჯა აღგ, ბერ.ჰესე. ეჯი აღგ (იგი გაქრა), და სხვა.

ობიექტი კი ასეთ ზმნებთან მხოლოდ მიცემით ბრუნვაში დაისმის:

1 ბხ. ე	მი ხტესგური	ეჩას ეე	ვაჯდები მას	ბს. ე	მი ოხტსგუ	ეჩას ეე	შევაჯედი მას
2 ბერ. ლ	სი ხესგური	ეჩას შენ	აჯდები ეას	ბს. ე	მი ა ხსგუ	შენ	შევაჯედი მას
3 ხს. ე	ეჯა ხესგური	ეჩას იგი	აჯდება მას	ბს. ე	ეჯა ახსგურდა	იგი	შევაჯდა მას

და ასე: ხს.ლშხ. ეჯა ხეგნი ეჩას (იგი უდგება მას) — ბხ. ეჯა ოთოგან ეჩას, ლშხ. ეჯი ოთოგან, ეცრ. ოთოგან ეჯის (იგი დაუდგა მას), ხს.ლშხ. ეჯა ხოთუფენი ეჩას (იგი ეკარგება მას) — ბხ.ეცრ. ეჯა ოთოტუჲ, ბერ.ლშხ. ოთოტუჲ ეჩას (იგი დაეკარგა მას), ლნტ. ეჯი ხეკუშენი ეჯის (იგი ატყდება მას) — ეჯი ჰსეკუშე ეჯის (იგი დაატყდა მას), და სხვა.

ამგვარად, გარდაუვალი ზმნა ან ერთსახელიანია, ან ორსახელიანი. სუბიექტი მუდამ სახელობით ბრუნვაში გვევლინება. ეს მთავარი აირობაა გარდაუვალი ზმნათა გამოსარკვევად. თუ ობიექტიც ახლავს, უკანასკნელი მიცემით ბრუნვას ვერ სცილდება. მოკლედ: ყველა ბრუნვაუცვლელსახელიანი ზმნა გარდაუვალია.

С. გარდამავალი ზმნა ყოველთვის რელატიურია; გარდაუვალი კი ორად იყოფა: თუ ერთსახელიანია — აბსოლუტური არის, თუ ორსახელიანია — რელატიური. ამგვარად გვაქვს: რელატიურ-გარდამავალი, აბსოლუტურ გარდაუვალი და რელატიურ-გარდაუვალი ზმნები².

9. ზმნათა ჯგუფები. ზმნების განჯგუფებისას თუ ვნებითის წარმოებას დავეყრდნობით, მაშინ ქართულის ოთხი ჯგუფის³ ნაცვლად სენაურში სამი-

¹) შდ. СМ. XVIII, გვ. 116₇₈. СМ, X, 200₃.

²) ჩანს, სენურსა და ქართულს შორის ან შხრით სხვაობას ადგილი არა აქვს. და რადგანაც ქართული კარგად არის დამუშავებული და თქმულის განწმენობა ზედმეტი იქნებოდა. ამიტომ აქ მოკლე მ.წიხილით, მაგალითების წოყვანითა და ლიტერატურის ჩვენებითა დაეკმაყოფილდით (იკავი შ ა ნ ი ძ ე, ქართული ზნის საცევი, 3:3-314 და შემდ. უმლ. 183. არნ. ჩიქობავა, წინადად. პრობლ., გვ. 179-185 და იქვე დასახელებული შრომები).

³) აქ უღლილებათა ნაცვლად ჯგუფებს ვხვართობ: I ჯგუფის. II ჯგუფის (ფუქედრეკალი) და III ჯგუფის ზნები (იხ. შემდეგი გვერდი).

ლა გვექნება (ქართულისათვის: ზმნის საქცევი, გვ. 316, 326, 328-9 და სვა-ნურისათვის: უმლ. 194-6) ¹.

ა. 1. პირველი ჯგუფისად მიიჩნევა ის გარდამავალი ზმნები, რომელთა ვნებითის ფორმები ი- და -ე- პრეფიქსით იწარმოება ².

	გარდანავალი: → ვნებითი:	აბსოლუტ.	რელატ.
1	ხტ-ი-შხი (ვიწვავ)	ხტ-ი-შხი (ვიწვი)	ხტ-ე-შხი (ვეწვი)
2	ხ-ი-შხი (იწვავ)	ხ-ი-შხი (იწვი)	ხ-ე-შხი (ეწვი)
3	ი-შხი (იწვავს)	ი-შხი (იწვის)	ხ-ე-შხი (ეწვის)
1	ხვ. ხტ-ა-ხტატი (ვხატავ)	ხტ-ი-ხტატი (ვიხატვი)	ხტ-ე-ხტატი (ვეხატვი)
2	ხ-ა-ხტატი (ხატავ)	ხ-ი-ხტატი (იხატვი)	ხ-ე-ხტატი (ეხატვი)
3	ა-ხტატი (ხატავს)	ი-ხტატი (იხატვის)	ხ-ე-ხტატი (ეხატვის)

მართალია. აწმყოსა და მყოფადში სათავისო ქცევისა და ვნებითის აბსოლუტური ფორმები (მაგ.: ხტ-ი-შხ-ი, ასევე: ი-ჩრტ-ი იხატავს, იხატვის და ად-ხატ-ი დაიხატავს, დაიხატვის) ხშირად ერთმანეთსა აგავს, მაგრამ ეს მსგავსება შემთხვევითი ხასიათისა რომ არის, იქიდან ჩანს, რომ სხვა დროებში ენის სუფიქსების წყალობით საკმაოდ გამსხვავებულნი არიან (იხ. „ვენებითი“). გარდამავალი იშხი'სა და ვნებითი იშხი'ს თავ- და ბოლო-კიდური იწნები სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ: პირველი ი- პრეფიქსი სათავისო ქცევის ნიშანია, ხლო მეორისა — ასიების მაწარმოებელი. რაც შეეხება -ი სუფიქსს, იგი ორსავე შემთხვევაში თემატურია აწმყოს ჯგუფში, მაგრამ გამოყენების მხრით სხვაობას ვამჩნევთ: გარდამავალ ზმნებში -ი ყოველთვის არ არის ხმარებული, ვნებითებში კი მისი გამოვლენა ჩვეულებრივია:

1	ხვ. ხტ-ი-მჩე (ვიბერებ), მაგრამ: ხტ-ი-მჩი (ებერდები) ხტ-ე-მჩი (ეებერდები)
2	ხ-ი-მჩე (იბერებ) ხ-ი-მჩი (ებერდები) ხ-ე-მჩი (ეებერდები)
3	ი-მჩე (იბერებს) ი-მჩი (ებერდება) ხ-ე-მჩი (ეებერდება)

პირველი ჯგუფის ზმნათა ვნებითის წარმოება იდენტურია ქართულისასთან: იგივე ი- და -ე- პრეფიქსები და იგივე -ი სუფიქსი მათს საერთო ფორმანტობაზე მიგვიბრუნებს. თუ რა გენეტური ურთიერთობაა სათავისო ქცევის ი-სა და ვნებითის გამომხატველ ი-ს შორის, აგრეთვე გარდამავალ ზმნათა

ვენებითის წარმოების მიხედვით ზმნათა ისეთი განჯგუფება, როგორც პროფ. აკ. შან-იძემ წარმოადგინა. უთუოდ მიხანმეწონილია და მისაღები, მაგრამ უღლილებად ღათ ვერ მივიჩნევთ: უკანასკნელისათვის საპიროსა სხვა არსებითი ნიშნის გამოხატვა, იმეტომ რამ — პროფ. გ. ახვლედიანის საპართლიანი შენიშვნით — „უღლილება სპეციფიკურ-ლორდოლო-გიორი ცნებაა, ვნებითის წარმოება კი სიტყვაწარმოება უფროა. ვინე უფროწარმოება“ (1926 წლ. ოქმი № 11/ა).

3. შუხარტით რას უწოდებს უღლილებას, იხ. გვ. 48, შნშ.

¹) სვანური ზნების ოთხ წყებად დაყოფა. როგორც ეს თავისუფალ სვანსა აქვს მოცემული (სვან. გრამ. 95-96). იწულებელია. ზმნათა მტარ დახასიათებას რომ თავი დაეანებოთ. იგი აეტროის მხრით კლასიფიკაციის ბუნების ვერგაგებასაც აწულებებს.

²) უმლ. 180, 196-199.

სუფიქსსა და პასივების ბოლოკიდურ -ი-ს შორის, ეს კითხვები არა მარტო ქართულის მიმართ დაისმის, არამედ საერთო (ე. ი. ერთისადაიმავე) ფორმანტების გამოყენებისა გამო ქართველურ ენათა, პრექართულის, მიმართაც შეიძლება დაისვას. „თეორიულად ასეთი რამ [მათი ერთი წარმოშობა. ვ.-თ.] შეუძლებელი ამბავი არ არის“ (საქცევი, 332-333). მით უმეტეს სვანურის მსგავსად ქართულშიც პასივის -ი ბოლოსართი და გარდამავალთა თემისეული -ი (მკ-ი-ს, ჭრ-ი-ს, ზღღენ-ი-ს, შღ-ი-ს, ცრ-ი-ს) ფონეტიკურად ერთი სახისაა. მაგრამ წამოჭრილი კითხვების გადაწყვეტა შედარებითს გრამატიკას მივანდოთ.

2. ქართულში „მეორე უღვლილებას ის ზნები ეკუთვნის, რომლებიც ვნებითს ღონის საშუალებით აწარმოებენ“ (საქცევი, 32ა), ე. ი. უშთაერესად ნასახელარი ზნები. სვანურში კი ნასახელარი ზნები (§ 22), როგორც გარდამავლები, ისე მისგან მიღებული ვნებითები, არაფრით არ განირჩევა ძირითადი ზნებისაგან:

ზ ე მ ო ს ვ ა ნ უ რ ი

სახელი	მასდარი ¹	აქტივი	პასივი
ქემ	თივა	ლი-ქემე	თიბვა
კვლთხი	ვაღალ	ლი-კვლთხი	ვაღლვა
მეჩი	წოხუცი	ლი-მეჩე	დაბერება
მეშხე	შავი	ლი-მეშხე	გაშავება
პარაყ	არაყი	ლი-პარაყი	არაყის ხდა
ბჟვ. არაყ	არაყი	ლი-რაყი	არაყის ხდა
წვრნი	წითელი	ლი-წრანი	წითლება
ნაბოზ ²	სალაზი	ლი-ნაბოზი	სალაზლება
ლწმი	თესლი	ლი-ლწმი	თესვა
ბჟვ. ლწმი	ლი-ლწმი	ლი-ლწმი	ლი-ლწმი

ნასახელარი ზნები ქვემოთხსენებულშიც ანალოგიურია, ოღონდ ისინი ლაშხურში უშუალოდ და ლენტეხურში ურედუქციოდ არიან წარმოდგენილი: ქემ (5₁₂ თივა) — აქმე (5₁₀ თიბავს), ჟახე (39, სახელი) — ხაჟხა (33₂₅ ჰქეია), ამბავ (12₂₈ ამბავი) — ამბავი (12₂₄ ამბობს), გარგლა (ლაპარაკი) — ხავგვავალი (ელაპარაკება), ლწმი (თესლი) — ალწმი (59₂₅ თესავს)... ხოლო ლენტეხურში: მეშხე (შავი) — მშხე (აშხავებს), იმეჩი (შავდება); მეჩი (მოხუცი) — იმეჩი (ბერდება), ნაყ (ვაყ) — ანაყ (ავაყებს), და სხვა.

ამიტომ პირველი ჯგუფისად ამათი მიჩნევა თამამად შეიძლება. ამდენად, B. „სვანურის პირველი უღვლილება ქართულის პირველსა და მეორეს უღვლის, სვანურის მეორე უღვლილება კი ქართულის მესამეს“ (უმლ. 195, შწმ). მეორე ჯგუფისად მიიღება ის გარდაამავალი ზნები, რომელთაც მედიო-პასიური ფორმები გააჩნიათ და უკანასკნელსა და აქტივს ერთმანეთისაგან ფუძის დრეკადობით არჩევენ (სიმოკლისათვის II ჯგუფის ზნებს ფუძედრეკადებს ვუწოდებთ):

¹ იდ. CM. X, გვ. XXXVIII-XXXIX.
² ბჟვ. ნებოზ.

ზ ე მ ო ს ე ა ნ უ რ ი

გარდამავ.	საწ.-ენებ.:	აბსოლუტური	რელატ.
1 ტუიხე (ვაბრუნებ)		ტუეხნი (ებრუნდები)	ხუ ე ტხენი (ვებრუნდები)
2 ტისე (აბრუნებ)		ტეხნი (ბრუნდები)	ხ-ე-ტხენი (უბრუნდები)
3 ტიხე (აბრუნებს)		ტეხნი (ბრუნდება)	ხ-ე-ტხენი (უბრუნდება)

ასეთია მთელი რიგი ზმნებისა:

ფიშე (ლლის)	ფეშნი (ილლება)	ხეფშენი (ილლება) ¹
ფხიფე (შლის)	ფხეფენი (იშლება)	ხეფხეფენი (ეშლება, ეფანტება)
ბზ. გიბე (სერის)	გებნი (ისვრება)	ხოგებნი (ესვრება)
ქუიციე (კრის)	ქუეცინი (იკრება)	ხექუეციანი (ეკრება)
ქუირე (ალაობს)	ქუერნი (ლპება)	ხექუერნი (ულაება)
თუიფე (კარგავს)	თუეფნი (იკარგება)	ხოთუეფნი (ეკარგება)...

ზოგიერთ მათგანს მედიო-პასიური ფორმები დაუკავსთ და აქტიური ან არცოდეს აქონიათ (არ განუვითარებიათ), ან დაუკარგავსთ ²:

სედნი (რჩება)	ხესდენი (არჩება)	იეცხნი, ეცრ. ნეცხნი (ილეიძებს)
	ხეწდენი (ხედავს, ნახავს) ზხ. ხეძგუენი	(იპოვის)
პერნი (ფრინდება)	ხეპრენი (აფრინდება, ახტება)	

ასევეა ქვემოწვანურში:

ლშხ. ფხეგე (14 ₃₃ შლის) — ფხეენი (იშლება); ხეფხეენი (ეშლება, ეფანტება)
ვღე (24 ₁₀ მოიტანს) — ვედნი (24 ₁₁ მოდის), ხოვდენი (მოუდის, მოუვა)
ქურე (89 ₇ ალაობს) — ქუერნი (ლაება, ხოქუერნი (ულაება)...
ლნტ. დიგე (აქრობს) — დეგენი (ქრება), ხოდეგენი (უქრება), და სხვა.

სვანურის მეორე ჯგუფის ზმნები არა მარტო მედიო-პასივი ფორმების ქონებით უღრის ქართულის III ჯგ.ისას, არამედ წარმოებითაც (იხ. „ენებითი“).

C. მესამე ჯგუფისაა ყველა გარდაუვალი ზმნა, რა თქმა უნდა, ვნებითების გამორიცხვით. ესენია აბსოლუტურები და რელატიურ-გარდაუვალები, ე. ი. საშუალო ზმნები:

ა. აბსოლუტურ-გარდაუვალები:

1 სგურ, ლნტ. სკურ(ხუი) (ვზივარ)	ქუეც (ვევენისი)	ხუაყურე (ეწვევარ)
2 სგურ სკურ (ხი) (ზიხარ)	ქუეც (ვენისი)	ხაყურე (წივხარ)
3 სგურ სკურ (ზის)	ქუეც (ვენისის)	აყურე (წივს)

და ასე: სიპ (ტრიალებს), ლი (არის), შრი, ლშხ. არი (არის, არსებობს), თერა ლნტ. თერე (ჩანს), ლგ, ლშხ. ლგ (დგას), ბზ. ზი, ჰკვ. ზგ (ძეგს, გლია)...

¹) აქა-იქ თარგმანი ზუსტი ვერ არის, რადგანაც ზოგიერთი ზმნა (მათში განსაკუთრებით II ჯგუფის საშუალო-ვნებითები) ქართულ ენაზე ვერ გადმოიციეა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ისინი სვანურში გვევლინებიან.

²) უმლ. 196, წმშ. 1. აგრეთვე ავტორის: ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებ ში. II. ბგერით მოვლენათა თანაზომდევრობა („ტფ. უნივ. შ. X, გვ. 297).

ხ. რ ე ლ ა ტ ი უ რ-გარდაუვალები:

- 1 მიცებ (მეგულება) მიხალ (|| ბზ. მიხა) (ვიცი) მაწებ (გპირდება, მესაქირო-
- 2 ჯიცებ (გმგულება) ჯიხალ (|| ჯიხა) (იცი) ჯაწებ (გპირდება) ება).
- 3 ხოცებ (ეგულება) ხოხალ (|| ხოხა) (იცის) ხაწებ (სპირდება)

და ასე: ხოქრი (ეცოდება), ხნად, ლზ. ხაიდ (შია), ხოშგურ, ლნტ. ხოშკურ (რცხვენია), ხს.ლზხ. ჯამპირ (გეზარება), ხსგ. ხანწამ, ლზხ. ხანწამ (არწამს), ბხ. ლზხ. მაყლწნი, ეცრ. მაყლენი, ლნტ. მაყამნი (მეშინია)...

მესამე ჯგუფსავე ეკუთვნის ის ზმნები, რომელნიც წარმოშობით დროთა III ჯგუფის ნამყოსრულის (იხ.) ფორმებს წარმოადგენენ. ხოლო მნიშვნელობით აწმყოს დროისანი არიან, და „სადაც იმპერსონალურად ნახმარს მესამე პირის ფორმაში სუბიექტის წარმოდგენის გაქრობის შემდეგ ფორმის პატრონად მარტო ობიექტი გამხდარა და სუბიექტადაც გადაქცეულა“ (საქცევი, 329):

- | | | | | |
|---|-------------------|----------|-----------------------------|-----------|
| 1 | მიცხა (მირჩვენია) | მამთქტა, | ლზხ. მამთქტა | (მჩვევია) |
| 2 | ჯიცხა (გირჩვენია) | ჯამთქტა | ჯამთქტა | (გჩვევია) |
| 3 | ხოცხა (ურჩვენია) | ხამთქტა | ხამთქტა (13 ₁₈) | (სჩვევია) |

ანალოგიურია: ხაეხა, ლნტ. ხაეხა (ასიმილაციის გამო: ბხ.ეცრ. ხაშხა, ლზხ. ხაეშხა || ხნაეშხა (3₁₇ ჰქვია), ბხ. ხნამედა, ბხ.ლნტ. ხნამედა, ბქვ. ხნამედა, ლზხ. ხნამედა (შეუძლია), ბხ.ლზხ. ხაზნა (ზნედ აქვს), და სხვა.

თავი მესამე

ზმნის საქცევი

10. სვანურ ზმნათა საქცევი ცოტათი განსხვავდება ქართულისასაგან.. უკანასკნელის საქცევის გამოკვლევის შემდეგ ჩვენი მუშაობა აქ მაქცევრების ჩვენებითა განისაზღვრება¹. სვანურში სულ ოთხი ქცევაა: საარვისო, სათავისო, სასხვისო და საზედაო. სათანაო არ მოგვეპოვება: იგი საზედაოშია გათქვეფილი². მაქცევრებიც ქართულისებურია: საარვისოს ნიშნებია: ა- და მ-(ნელი)³, სათავისოსი -- ი-, სასხვისოსი — -ი და -ო: -ი- პირველი და მეორე პირისათვის, ხოლო -ო- მესამე პირისათვის, საზედაო კი -ა-თი გადმოიცემა. ერთადერთ თავისებურებას სასხვისო ქცევის III პირის -ო- ფორმანტთან ვამჩნევთ: ქართულში მის შესატყვისად -უ- გვაქვს (სვან. -ო-სა და ქართ. -უ-ს მორფოლოგიური ექვივალენტობა სხვაგანაც არის შენიშნული, მაგ. შედარებით ხარისხში: ხომა -- სუ-ც-სი: Ахем, § 21. ЯЭ. VII, 360-1. ცნობა ახლად აღმოჩნ. ტექსტების შესახებ, გვ. 410).

პირველი ჯგუფის ზმნათა ქცევები.

11. A. გარდამავლები. პირველი ჯგუფის ზმნებს⁴ ყველა ქცევითი ფორმა გააჩნია. გარდამავლებს ორი ან სამი სახელი ახლავსთ, და ჩვენც ამგვარი თანამიმდევრობით დავალაგებთ. უმჯობესია აგრეთვე საილუსტრაციოდ ქცევათა ისეთი ფორმები იქნას მოყვანილი, სადაც მაქცევრები ჩანს. ასეთია, მაგ.: აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დროებში (ნამყოუსრულსა, კონიუნქტივ 1სა. მყოფადუსრულსა და სხვაში) მოქცეული ზმნები. პრევერბიან ფორმებში მაქცევრები (ლენტესურის გამოკლებით) ჩვეულებრივ დაკარგულია.

¹) თითონ საქცევის სხვაგვარად გაგება და წასთან დაკავშირებით ქცევათა რიცხვის შემცირება შეიძლებოდა აქვე წარმოგვედგინა, მაგრამ ქართულსა და სვანურს შორის ქცევების მხრით არსებული სხვაობების ნ. თელსაყოფად ქვემოდასახელებულ წერილში ნახმარი ტერმინების გადმოტანასთან ერთად დალაგებაც კი დაეცავით (ქართული ხნ.ს. საქცევი, გვ. 312-338). ისე კი ქართულურ ენებში მარტა სამი ქცევა უნდა გვეჩვენდეს: საარვისო, სათავისო და სასხვისო, საზედაო კი საარვისოს შეგერთდება.

უცხო მკვლევართაგან ქცევებს ეხებთან ფრ. ბაჟულერი და ჰ. შუხარდტი ((Grundriss. 201. Swan. 43-44. 46, და სხვა. იხ. აქ გვ. 48. წმშ. 1).

² საქცევი, 321. უმლ. 188, წმშ.

³) უმლ. 182, 183.

⁴) ე. წ. ორზავად გარდამავალი ზმნები (კაუხატიევი. იხ.) ცალკეა განილული.

a. ერთობიექტიანი (ორსახელიანი) ზმნათა ქცევები.

ა. საარვისო ქცევის მაგალითები: 1. ა-ნიშნით:

1	ხს.ლშ. ხუ-ა-ვნი	ლტ. ხუ-ა-ვანი (ვხნავ)	ხს.ლტნ. ხუ-ა-დგარი (ვკლავ)	
2		ბ-ა-ვნი	ბ-ა-ვანი (ხნავ)	ბ-ა-დგარი (კლავ)
3		ა-ვნი	ა-ვანი (ხნავს)	ა-დგარი (კლავს)

და ამგვარად: ზემოხსენებულში: ა-ბემ (აბამს), ა-სყი (აკეთებს), ა-თი (მკის), ხს.ლშ. ა-შეჟდი (რეცხავს); ა-ჟემე (ფუშავს, შლის); ა-შხტი (ლობავს), ა-მხე (ახლებს)... ლაშხურში: ა-ხტაჟი (ხატავს), ა-ბდაჟი (40, ბედავს), ა-რკალიხ (71_ბ რეკავენ)... ლენტეხურში: ა-ბარაჟი (ბარავს), ა-ქემე (თიბავს), ა-ლაში (თესავს), და სხვა.

2. 0- (ნულ-)ნიშნისანი მაგალითები შედარებით ცოტა მოიხსენება:

1	ხს.ლტ. თერ (ცნობ)	ბ. დჟემგი (ვდებ)	ერ. ჰრდი, ბ. ჰრდი (ყიდი)	
2		თერ (ცნობ)	დჟემგი (დებ)	ჰედი ჰრდი (ყიდი)
3		თერ (ცნობს)	დჟემგი (დებს)	ჰედი ჰრდი (ყიდის)

ფაქტურად ნულმაქცევრიანია ყველა გ- ხმოვნიდაწყებული ზმნა (-გ თავიღურისანი ზმნები უმთავრესად ლენტეხურში მოგვეპოვება):

1	ხს.ლტ. ხუგემ (ვაგებ)	ხურში (ლოგინს ვაგებ)	მ-გრმი (მიჰერს, მაკავებს)	
2		ბ-გემ	ბ-გრში	ჯ-გრმი (გიჰერს)
3		გემ აგემ	გრში აგრში	გრმი აგრმი ¹ (იჰერს)

და ასე: ხს.ლტ. გრტჟი || ბ. აგრტჟი, ბ.ერ.ლტ. გრხი || ბ. აგრხი, (ქნის), და სხვა (§ 2 A 2). გ-ს ადგილი რომ საარვისოს მაქცევარმა ა-მ დაიკავოს, ამით ზნის მნიშვნელობა არ შეიცვლება: ბ. გემ = აგემ, გრხი = არხი, აგრტჟი = არტჟი, ბ.აერ. გრში = არში², და სხვა³. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დიალექტში უფრო ეს უკანასკნელი (ა-მაქცევრიანი) ფორმებია გავრცელებული. განსაკუთრებით ეს ითქმის ლაშხურის შესახებ, სადაც გ-თი დაწყებული ზმნის ფუძე თითქმის არა გვაქვს. გ- არ არის ფორმანტი და ამიტომაც იგი მაქცევრად ვერ მიიჩნევა. მისი უგულვებელყოფა, ზმნას ვერ ცვლის: ბ. 'ა'ჯდესგი || დესგი (დებს), 'ა'ჯთერ || თერ (ცნობს), 'ა'ჯკედ || კედ⁴ (სლობს).

ა- თავსართით საარვისო ქცევა ხშირად არის ხმარებული სვანურში. ამ ქცევის ფორმაში, ა- ნიშნით იქნება ის, თუ ნულ-ნიშნით წარმოადგენილი, პრეფიქსები სუბიექტურიც შეიძლება იყოს და ობიექტურიც. III პირის ობიექტური თავსართი ყოველთვის ნულია:

¹ მუამე პირში გ-ს წინ მოტაცია ისმის ზოგიერთის გამოთქმანი (თვით გ-ს შესახებ იხ. § 3 B, 4 B. უმლ. 173. ნშ.1).

² ასეთ შემთხვევაში გ- თითქოს მართლაც „ჩანს“. რომ „nur eine lautliche Variante von... ა- არის (Swan. 44), მაგრამ ჯ-გ კდ ესა და მსგავს მაგალითებში (იხ. § 4 B) კი არა.

³ გ-თ რესავან ვერ მიიღება *ათ რე. ბალსხეშოურსა და ლაშხურში ით რე ფორმაა გაბატონებული.

⁴ რიგი ხვნისისა გ- ხმოვნის გარეშე არც კი იხმარება. გ-თ რე, გ-რ მი, ბ. აგ დი 'დებს' და სხვათა პარალელურად რუს *თ რე, *რ მი. *დი და სხვა ამათ მაგგვარი ფორმა ვეკონდეს, ასეთი შემთხვევა ჩვენ არ ვიცით.

0	მაქცევრით		0- (ხულ-) მაქცევრით
2	ეჯა ჯ-ადგარი სი	იგი გკლავს წენ	ეჯა ჯგეთერ სი
3	ადგარი ეჩას	კლავს მას	ბზ. ეთერ აგეთერ ეჩას
0i	გუ-ადგარი ნმა	„ გვკლავს ჩვენ	გუთერ ნმა „ გვცნობს ჩვენ

პ. სათავისოს მაქცევარია ი- (Swan. 47. უმლ. 186). ზემომავალითთა უმრავლესობის სათავისო ფორმით წარმოდგენა ხერხდება:

1	ხუ-ი-ჭნი, ლნტ.	ხუ-ი-ჭანი (ეიხნავ)	ხუ.ლნტ.	ხუ-ი-დგარი (ეიკლავ)
2	ხ-ი-ჭნი	ხ-ი-ჭანი (იხნავ)		ხ-ი-დგარი (იკლავ)
3	ი-ჭნი	ი-ჭანი (იხნავს)		ი-დგარი (იკლავს)

და ასე: იეგმ (იშენებს), ი-ში (იწვავს), ი-ყდი (ყიდულობს), ი-რდი (იზრდის), ი-შტნი (ინახავს)... ზემომავალით: ი-ბემ (იბამს), ი-თი (იძის), ი-სყი (იკეთებს)... ლაშხური: ი-ხტატი (იხტავს), (უსტარუნს) ირენი (23, 10 პირჯვარს იწერს)... ლნტ.: ი-ქემე (ითიბავს), ი-ლაში (ითესავს), ი-ბარატი (იბარავს), ი-დეს (იღებს)... უნდა აღენიშნოთ შემდეგი:

1. რიგი ზმნებისა სათავისოს ვერ აწარმოებს: როგორც ქართულში უოხრა, ბრძანეს და მსგავსთან * ი-ოხრა, * ი-ბრძანებს არა გვხვდება, ისე სვანურში ბზ. რჭქუ (თქვა), სგუეჯ (ბრძანა) და სხვათაგან სათავისოს ფორმა ვერ მიიღება.

2. სამაგიეროდ საარვისო ქცევის ფორმები არ გააჩნიათ: ი-ქუმე (იყვამს), ი-ქუთერ (იბარავს), ი-ბნე (იწყებს), ხუ.ლნტ. ი-წური (სისხლს იღებს), ბზ.ლშ. იყი, ბჟ. იყი (იყვანს), ბზ. ი-ბარ (იბანს), ი-შუმე (თხოულობს), და სხვებს. ბალსქემოურსა და ლენტეხურში ხმარებული ზოგიერთი ნულმაქცევრიანი ზმნა, ბაგ.: ეთრე, ლნტ. გრდი, ბალსქემოურსა და ლაშხურში ი-ნიშნით არის წარმოდგენილი: ი-თრე (სვამს), ი-რდი (იზრდის)...

3. სათავისო ქცევის ზმნას საარვისოს მნიშვნელობაც შეიძლება ქონდეს: ი-ბნე (იწყებს), ი-ქუთერ (იბარავს), ი-კედ (იღებს), ი-ყდი, და სხვა (Swan. 47. ანალოგიური მდგომარეობაა ქართულშიც: საქცევი, გვ. 319).

4. სათავისოს ფორმებში ჩვეულებრივ სუბიექტური პრეფიქსები გვევლინება, მაგრამ ობიექტური თავსართებიც არაიშვიათადაა გამოყენებული:

1	მ-ი-კედ (მიყვანს)	მ-ი რდი (მზრდის თავისთვის)
2	ჯ-ი-კედ (გიყვანს)	ჯ-ი-რდი (გზრდის
3	ი-კედ (იყვანს, იღებს)	ი-რდი (ზრდის)

და ამგვარად: ხუ. მ-ი-პრი (მიწვევს), ჯ-ი-პრი (გიწვევს), ი-პრი (იწვევს, იხმობს), ბზ. მ-ი-დი || მ-ი-დესგი (მიღებს, მაქცევს), ჯ-ი-დი || ჯ-ი-დესგი (გიღებს, გაქცევს), ი-დი || ი-დესგი (იღებს, აქცევს), და სხვა.

ბ. ო რ ო ბ ი ე ქ ტ ი ა ნ (სამსახელიან) ზნათა ქცევები.

ორობიექტიან ზმნებს ორი ქცევა ახასიათებს: სასხვისო და საზედაო.

ა. სასხვისოს მაწარმოებელია: -ი-¹ (I და II პირისათვის) და -ო- (III პირისათვის: Swan. 45. უმლ. 189):

1) -ი-ს დანიშნულების შესახებ: Swan. 43-44.

1 მ-ი-შხი (მიწვეავს)	ხვ.ლწ. მ-ი-ენი (მიხნავს)	ხვ.ლწ. მ-ი-დგარი (მიკლავს)
2 ჯ-ი-შხი (გიწვეავს)	ჯ-ი-ენი (გიხნავს)	ჯ-ი-დგარი (გიკლავს)
3 ხ-ო-შხი (უწვეავს)	ხ-ო-ენი (უხნავს)	ხ-ო-დგარი (უკლავს)

ამათ მისდევს: მ-ი-გემ (მიშენებს), ჯ-ი-გემ (გიშენებს), ხ-ო-გემ (უშენებს), და იმავე ნაცნობი ზმნებისაგან: ხვ.ლწ. მ-ი-სუი (მიკეთებს), ჯ-ი-სუი (გიკეთებს), ხ-ო-სუი (უკეთებს). ლწ. მ-ი-ლაში (მითვისებს), ჯ-ი-ლაში (გითვისებს), ხ-ო-ლაში (უთვისებს)...

აღსანიშნავია შემდეგი:

1. თუ სათავისო და სასხვისო ქცევითი ფორმები ორივე ობიექტური წყობისაა, მაშინ ამ ქცევათა შორის I და II პირში განსხვავებას არ ექნება ადგილი:

ბალსხემ.ლწ.

ობ. წყ. სათავისო	სასხვისო	სათავისო	სასხვისო
1 მ-ი-რდი მზრდის თავისთვის	მ-ი-რდი მიზრდის	მ-რეი იყვანს	მ რეი იყვანს
2 ჯ-ი-რდი გზრდის	ჯ-ი-რდი გზრდის	ჯ-რეი იყვანს	ჯ-რეი იყვანს
3 ი-რდი აზრდის	ხ-ო-რდი უზრდის	რეი იყვანს	ხ-რეი იყვანს

აგრეთვე: მ-ი-კედ (მიღებს), ჯ-ი-კედ (გიღებს) (სათავ.-სასხ.), მაგრამ: ი-კედ (იღებს სურათს...: სათავ.), ხ-ო-კედ (უღებს კირს, ქვას...: სასხვ.), და სხვა.

2. თუ სასხვისო ქცევის ზმნა სუბიექტური წყობისაა, მაშინ ყველა პირში -ო- მაქცევარი გვევლინება¹, რომლის წინ პირველი პირის სუბიექტურ პრეფიქსთან დაკავშირებით ფონეტიკური მოვლენებია გასათვალისწინებელი (§ 3 A, 2 ბ):

1 ხ-ო-შხი, ლწ. ხუშხი (←* ხუ-ო-შხი) (ეუწვეავს)	ხვ.ლწ. ხ-ო-სგდი ² (ეუყურებ)
2 ხ-ო-შხი (უწვეავს)	ხ-ო-სგდი (უყურებ)
3 ხ-ო-შხი (უწვეავს)	ხ-ო-სგდი (უყურებს)

პ. საზედაოს მაქცევარია ა- (უმლ. 182, 183). ზემომოყვანილ მაგალითთაგან ზოგიერთს შეუძლია საზედაოს ფორმის მოცემა:

1 ხუ-ა-დგარი, ლწ. ხუ-ა-დგარი (აკლავს)	ხუ-ა-გემ, ლწ. ხუ-ა-გემ (ვადგამ)
2 ხ-ა-დგარი	ხ-ა-გემ ხ-ა-გემ (ვადგამ)
3 ხ-ა-დგარი	ხ-ა-გემ ხ-ა-გემ (ვადგამს)

და ასე: ახ. ეჯა ეჩას ხ-ა-დგარი ეჩას (იგი მას ათხოვებს მას), ხვ. ეჯა ხ-ა-დგარი ეჩას (იგი უკიდებს ცეცხლს), ახ. ბეფუხუ ხ-ა-დგარი ეჩას (იგი უჭებს მამაღარს (ბავშვი აკმევს საკმელს მშვიერს), ხვ. ეჯა ეჩას ხ-ა-ა-ა-დგარი, ლწ. ხ-ა-ა-ა-დგარი, ლწ. ხ-ა-ა-ა-დგარი | ხ-ა-ა-ა-დგარი ეჩას (იგი მას აძლევს მას), და სხვა.

¹ შდ. CM. X. გვ. XV. XVI. Swan. 48.

² ლწ.: 1 ხ-ო-სგდი. 2 ხ-ო-სგდი. 3 ხ-ო-სგდი (ი-ო-სგდი შეტომბა: Sprach. 357, № 117. ზდ. № 132).

როგორც ობიექტური წყობის სათავისოსა და სასხვისოს I და II პირის ფორმები გარეგნულად ერთმანეთს გავდა, ისე სუბიექტურისა და ობიექტური წყობის ა-¹ ნიშნიან საარვისოსა და სახედოს I და II პირის ფორმები ერთმანეთისაგან განუსხვავებელნი არიან:

სუბიექტური წყობა

საარვისო	სახედო
1 მი ხუ-ა-დგარი ეჩას მე ვკლავ მას მი	ხუ-ა-დგარი ეჩას მე ვაკლავ მას თავს
2 სი ხ-ა-დგარი შენ კლავ მას სი	ხ-ა-დგარი შენ აკლავ
3 ეჯა ა-დგარი იგი კლავს მას ეჯა	ხ-ა-დგარი იგი აკლავს

ობიექტური წყობა

1 ეჯა მ-ა-დგარი მი იგი აკლავს მე ეჯა მ-ა-დგარი მი	იგი აკლავს მე თავს
2 „ ჯ-ა-დგარი სი „ გკლავს შენ ჯ-ა-დგარი სი	„ აკლავს შენ
3 ა-დგარი ეჩას კლავს მას ხ-ა-დგარი ეჩას	„ აკლავს მას

დაპირისპირებულ ა-დგარი და ხ-ა-დგარი მაგალითებში შემდეგი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურება იქცევს ყურადღებას: 1. საარვისო ქცევითს ფორმაში III პირის ობიექტური ნიშანი ნულია (ა-დგარი), სახედოში კი ყოველთვის ხ-პრეფიქსი მოიპოვება (ხ-ა-დგარი), 2. საარვისო ქცევაში წარმოდგენილ გარდამავლებს ორი ბრუნვაცვალებადი სახელი ახასიათებს (ეჯა ადგარი ეჩას: $S^m \text{ } a \text{ } O^d \text{ } a$), სახედოში წარმოებულთ კი სამი (ეჯა ხადგარი ეჩას ეჩას: $S^m \text{ } a \text{ } O^d \text{ } a$ (O^d : უმლ. 182, 183)². ასეთივე მდგომარეობაა სათავისო და სასხვისო ქცევათა ურთიერთობაშიც:

სათავისო: ეჯა ი-გემ ქორს (იგი იშენებს სახლს)
 სასხვისო: ეჯა ხ-ო-გემ ქორს (იგი უშენებს სახლს მას), და სხვა.

აქ, საარვისოს ფორმაში: III პირის ობიექტური პრეფიქსი ნულია, მაქცევარი არის ი- და ზნა ორსახელიანია,

სასხვისოში კი: O_3 არის ხ-, მაქცევარია -ო- და ზნა სამსახელიანია.

ბ. ვნებით. პირველი ჯგუფის გარდამავალი ორსახელიანი ზნების გასაენებთებლად გამოყენებულია ი-, ხოლო სამსახელიანებისა -ე-. პირველთ, ორსახელიანთ (ერთობიექტიანებს), როგორც ვიცით, ორი ქცევა აქვთ: საარვისო და სათავისო. უკანასკნელი ვნებითს არ გააჩნია. საარვისოს ვნებითი კი ი- თავსართის საშუალებით მიიღება:

1 ხუ-ი-რდი (ვიზრდები)	ხე.ლნტ.	ხუ-ი-დგარი (ვიკვლები, ვკვდები)
2 ხ-ი-რდი (იზრდები)		ხ-ი-დგარი (იკვლები, კვდები)
3 ი-რდი (იზრდება)		ი-დგარი (იკვლება, კვდება)

¹) ა-ს შესახებ: Swan. 44.

²) მაგრამ გარდაუვალთ საარვისოში ერთი სახელი ახასიათებს (ეჯა აწრი, არი იგი არის: S^m), ხოლო სახედოში ორი (ეჯა ხწრი, ხარი|ლნტ. ხარი ეჩას იგი აქვს მას: $S^m \text{ } O^d$).

და ამგვარად: ი-რმი („იკირება“), ი-შხტნი (ინახება), ხვ. ი-პტი (იყიდება), ბკ-ი-მპრი (მზადდება), ლზ. ი-ხტატი (იხატება), ლტ. ი-ვემი (ოთიბება), და სხვა-საარვისოს ვნებითი აბსოლუტურ ფორმებს წარმოადგენს და ამდენად ობიექტურ პრეფიქსებზე ლააარაკი შეუძლებელია.

ორობიექტიან (სამსახელიან) ზნათა ორსავე (სასხვისოსა და საზედაო) ქცევას ვნებითში ქართლის მსგავსად საერთო („ზიარი“) ფორმა აქვს. ფორმანტად გამოყენებულია -ე- პრეფიქსი:

სახ-ვისო:	ბეფშუ	ხვ. ბ-ბემ მუს ვანს	ც	ვან ხ-ე-ბი (ხ-ე-ბმი) მუს ბეფშხნქა
	ბავშვი	უბამს მამას ხარს	ნ	ხარი ებმება მამას ბავშვისაგან
საზე-დაო:	ბეფშუ	ხ-ა-ბემ მეგვამს ვანს	ლ	ვან ხ-ე ბი (ხებმი) მეგვამს ბეფშუ
	ბავშვი	აბამს ხეს ხარს	ო	ხარი ებმება ხეს ბავშვით (ბავშვისაგან)

ხ-ო-გემ (უღვამს) — ხ-ე-გი (|| ხ-ე-გმი), ლტ. ხ-ე-გემი (ედგმება)
 ხ-ა-გემ, ლტ. ხ-ა-გემ (ადგამს) „ „

ამგვარად: რიგს ზნებისას ყველა ქცევითი ფორმა შეიძლება ქონდეს, რიგს კი მხოლოდ რამდენიმე¹.

საარვისო	სათავისო	სასხვისო	საზედაო				
ბხ. ა-ვმპრი	ხარჯავს	ი-ვმპრი	ხნარობს	ხ-ო-ვმპრი	უხარჯავს	ხ-ა-ვმპრი	ახნარს
ხვ. ვ-გუშე	ახხანს	ი-გუშე	ისხანს	ხ-ო-გუშე	უხხანს	ხ-ა-გუშე	ახხანს
ლზ. ა-ხტატი	ხატავს	ი-ხტატი	იხატავს	ხ-ო-ხტატი	უხატავს	(ხ ა-ხტატი	ახატავს).
ლტ. პ-ბენ	აბანს	ი-ბენ	იბანს	ხ-ო-ბენ	უბანს	ხ-ა-ბენ	აბანს
—	—	ი-ბენ	იწყებს	ხ-ო-ბენ	უწყებს	—	—

ვ ნ ე ბ ი თ ი:

ი-ვმპრი	ახნარება	—	ხ-ე-ვმპრი	ახნარდება.	ეხარჯება
ი-გუშე	ახხანება	—	ხ-ე-გუშე	უხხანება	
ი-ხტატი	ახტავს	—	ხ-ე-ხტატი	უხატავს	
ი-ბენ/მი	აბნება	—	ხ-ე-ბენ/მი	უბნება	
ი-ბენი	იწყება	—	ხ-ე-ბენი	უწყება,	და სხვა

-ე-თი ნაწარმოები ვნებითი ფორმები რელატიურია, და ამით აიხსნება ობიექტურ პრეფიქსთა გამოვლენა: ხ-ე-გუშე, ხ-ე-ხტატი, ანდა: მ-ე-ხტატი (მე-ხატვის), მ-ე-ბენ/მი (მებნება), ჯ-ე-გუშე (გესხნება), და სხვა.

მეორე ჯგუფის ზნათა ქცევები.

12 A. გარდაშვლენი. მეორე ჯგუფის ზნებსაც ოთხი ქცევა მოეპოვებათ: საარვისო, სათავისო, სასხვისო და საზედაო. ამათგან სამი უკანასკნელი-

¹) პ. უსლარს ზნათა უღლილებისას ქცევისა და პასვის სულ ხუთი ფორმა აქვს ნაწილში (Прям. оверк. 116-118), მ. ზავადსკის კი ექვსი-შვიდი (СМ, X, გვ. XI, XII-XIII XVIII-XXIII). პ. უსლარის ხტსავე ფორმას ა. გრენი ეწარულ ზნათა ხუთ ფორმას ადარებს და ნათი ანალოგიით სახეს უწოდებს (Прям. зам. 154), პ. შუხარდტი კი უღლილებას (Konjugation: Swan. 37, 41) ეძახის.

არაფრით არ განირჩევა I ჯგუფის ზნათა ამავე ქცევებისაგან, საარვისო კი ყოველთვის განსხვავებულია: I ჯგუფის ზნათა საარვისოს მაქცევარი ჩვეულებრივ ა- არის (§ 11, A ა), აქ კი მუდამ ნულია.

	საარვისო	სათავისო	სასხვისო	საზედაო			
ზსვ. 1	ტუიხე	ხუ-ი-ტხე	ვიბრუნებ	ბ-ო-ტხე	ვუბრუნებ	ბუ-ა-ტხე	ვუბრუნებ,
2	ტიხე	ბ-ი-ტხე	იბრუნებ	ბ-ო-ტხე	უბრუნებ	ბ-ა-ტხე	ვუბდი
3	ტიხე	ი-ტხე	იბრუნებს	ბ-ო-ტხე	უბრუნებს	ბ-ა-ტხე	

ქვემოთხსენიებულშიც ანალოგიური ქცევითი ფორმები გვაქვს:

ლზს. მი გგლე	მე ვხვე	ბუ-ი-გლე	ვიხვე	ბ-ო-გლე	ვუხვე	ბუ-ა-გლე	ვახვე
ლნტ. დუიგი	ვაჯრობ	ბუ-ი-დგი	ვიჯრობ	ბ-უ-დგი	ვუჯრობ	ბუ-ა-დგი	ვაჯრაბ

და ასე: კუიში, ლზს. კუში (ტეხს), ი-კუში (იტეხს), ბ-ო-კუში (უტეხს), ბ-ა-კუში, ლზს. ბ-ა-კუში (ატეხს), ცუირე, ლზს. ცურე (ტოვებს), ი-ცურე (იტოვებს), და სხვა.

მდგომარეობა არ იცვლება ობიექტური წყობის ზნებშიც: აქაც ნაცნობი მაქცევრები გვევლინება:

საარვისო	სათავისო	სასხვისო	ზსვ.ლნტ. საზედაო			
მ-გ-ტხე	მიბრუნებს	მ-ი-ტხე	მიბრუნებს	მ-ა-ტხე	მიბრუნებს,	
ჯ-გ-ტხე (§ 5 B)	ჯ-ი-ტხე	გიბრუნებს	ჯ-ი-ტხე	გიბრუნებს	ჯ-ა-ტხე	მიხდის

B. ვნებით. მეორე ჯგუფის საშუალ-ვნებითებს, რომელნიც ფუძეში -ე-ს გამოვლენითა და, აწმყოს ჯგუფში -უნ-ი სუფიქსების დართვით განირჩევიან გარდამავალთაგან (§ 9 B), სამი ქცევა გააჩნიათ: საარვისო, სასხვისო და საზედაო სწორედ ისე, როგორც ეს I ჯგუფის ვნებითებს ქონდათ, ოღონდ უკანასკნელის სასხვისო და საზედაო ერთი ფორმით იყო გადმოცემული, აქ კი ორს თავისთავად ფორმისთან გვაქვს საქმე:

საარვისო	1	ზსვ. გუქენი, ლზს. გუქენი, ლნტ. გუქენი	(ვძლებ)	მაქცევარია	ნული
	2	გ ე ქ ე ნ ი	გუქენი	(აღებ)	
	3	გ ე ქ ე ნ ი	გუქენი	(აღებს)	

სასხვისო	1	ზსვ. ლზს. ბ-ო-გუქენი	ლნტ. ბ-უ-გუქენი	ვძლებ	ზსვ. ლზს. მ-ი-გუქენი	მიძლებს
	2	ბ-ო-გუქენი	ბ-ო-გუქენი	უძლებ	ჯ-ი-გუქენი	გიძლებს
	3	ბ-ო-გუქენი	ბ-ო-გუქენი	უძლებს	ბ-ო-გუქენი	უძლებს

საზედაო	1	ბუ-ე-წღენი	ბუ-ე-წღენი	ენახავ	მ-ე-წღენი	ენახავს
	2	ბ-ე-წღენი	ბ-ე-წღენი	ენახავ	ჯ-ე-წღენი	ენახავს
	3	ბ- ე-წღენი	ბ- ე-წღენი	ენახავს	ბ-ე-წღენი	ენახავს

აქ წარმოდგენილ ფორმათაგან ერთი (საარვისო) აბსოლუტურია და ორი (სასხვისო და საზედაო) რელატიური.

აღსანიშნავია, რომ სვანურ II ჯგუფის ზნათა საშუალ-ვნებითნი ქცევების წარმოების მხრივთაც გვანან ქართულისას (აქაც, როგორც ქართულში,

მაქცევარია -ი- და -ო-

სათავისოს გამოკლებით ყველა ქცევა მოიპოვება და მაქცევრებიც იგივე ნული, -ი- და -ო- არის), ოღონდ სვანურში ერთს თავისებურებასა აქვს ადგილი: საზედაოს -ა- მაქცევრის ნაცვლად ყოველთვის ვნებითის მაწარმოებელი -ე- არის გამოყენებული: ლნტ. დეგ-ენ-ი — ქრ-ეზ-ი-ს, ხ-ო-დეგ-ენ-ი — (ხ)-უ-ქრ-ეზ-ი-ს, ხ-ე-დეგ-ენ-ი — (ხ)-ა-ქრ-ეზ-ი-ს. უკანასკნელ (ხ-ე-დეგ-ენ-ი) შემთხვევაში -ე-ს გამოვლენა ფონეტიკურ ნიადაგზე (ესე იგი ფუძისეულ -ე-სთან ასიმილაციით: *ხ-ა-დეგ-ენი → ხ-ე-დეგ-ენი), ვფიქრობთ, ვერ აიხსნება. იგი ვნებითის -ე- არის და საზედაოს მიმართ იმავე როლს ასრულებს, რასაც I ჯგუფის ზმნათა ვნებითში (§ 11 B).

მესამე ჯგუფის ზმნათა ქცევები.

13. მესამე ჯგუფის ზმნები გარდაუვალია. მათ სამი ქცევა აქვსთ: საარვისო, სასხვისო და საზედაო, გამორიცხულია სათავისო. მაქცევრებიც იგივეა, რაც ზემოთ გვქონდა. რიგს ზმნებისას ერთი ქცევა გააჩნია. განსაკუთრებით ეს ითქმის დროთა მესამე ჯგუფის ნამყოსრულის ფორმითა და აწმყოს მნიშვნელობით (§ 9 C) ხმარებული ზმნების შესახებ. უკანასკნელთ საარვისო ქცევა არ მოეპოვებათ. გვაქვს ისეთი ზმნებიც, რომელთაც მხოლოდ რელატიური ქცევები გააჩნიათ. საარვისოს მაქცევარია: ჩვეულებრივ ნული და იშვიათად ა-¹:

საარვისო	სასხვისო	საზედაო
ა-რი, ლწხ. ა-რი არის	ხ-ო-რი (2 _გ) უვის	ხ-ა-რ (59 ₁), ხ-ა-რ აქვს
სგურ, ლნტ. სკურ ხის	ხ-ო-სგურ, ხ-ო-სკურ უხის	ხ-ა-სგურ, ხ-ა-სკურ ახის
ბზ. ზი, ზკვ. ზგ ძეგს	ხ-ო-ზ, ხ-ო-ზ უძეგს	ბზ. ხ-ა-ზ, ლწხ. ხ-ა-ზ (37 _გ),
ლი არის		[ბქვ.ლნტ. ხ-ა-ზ აძეგს
ლგრი: ესლრი, ლნტ. ასლრი (მიდის)	ხ-ო-შგურ, ლნტ. ხ-ო-შკურ (რცხეენია)	
	ბზ.ლნტ. ხ-ო-შშელ, ეცრ. ხოჟელ, ლწხ. ხოჟოლ (26 _გ უძღვის)	
	საზედაო: ხ-ა-დდ, ლწხ. ხ-ა-იდ შია	
	ხ-ა-ჯგშ, ლნტ. ხ-ა-ჯგშ გავს	

ამით დავკმაყოფილდეთ. მაქცევრებთან დაკავშირებული ფონეტიკური მოვლენები განხილული გვექნება პრევერბებისა და დროთა (აორისტის, იხ.) წარმოების აღწერის დროს.

¹ საკევი, გვ. 329, შწხ.

ტ ა ბ უ ლ ა VIII

ს ვ ა ნ შ რ უ გ ნ ა

I. A. მორფოლოგიური

თვალსაზრისით: ერთობრიანი
 აბსოლუტური სახეობისა
 სუბიექტური წყობისა

ორბირიანი
 რელატიური

სამბირიანი
 რელატიური სახეობისა
 და ხ. ობიექტ. წყობისა

B. სინტაქსური

გარდაუვალი: ა. გარდაუვალი: და ს. გარდამავალი: გარდამავალი:
 თვალსაზრისით: [(ა. საშ., ხ. საშ.-წებ., ე. იანი წებ.) (ა. საშ., ხ. საშ.-წებ., ე. იანი წებ.) (მოკმედებითი)
 უობიექტო ერთობიექტიანი ორობიექტიანი (სამსახ.)
 $S^0 + O^0$ $S^0 + O^0$ $S^0 + O^0 + O^0 + O^0$

ენებითი წარმოების მიხედვით ზმნათა ჯგუფი: I, II, III:

I ჯგუფისა ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითის მქონე II ჯგუფისაა საშუალ-ვნებითი III ჯგუფისაა ვნებითის არამქონე
 (ფურცლრეკალი)

ვ. საქცევი:

ქცევა
 ნიშანი ა-, ო- (ნული)

სათავისო
 ი- სასხვისო
 -ი-, -თ-

სათავისო
 -ა-

ქცევა გაანია:

I ჯგუფის ა. გარდამავლებს: საარვისო სათავისო სასხვისო საზედაო ბ. ვნებითებს: საარვისო სასხვისო საზედაო
 ნიშანი: ა-, ო- ი- -ი-, -თ- -ა- -ი- -ე-

II ჯგუფის ა. გარდამავლებს: საარვისო სათავისო სასხვისო საზედაო ხ. საშ-ვნებითებს: საარვისო სასხვისო საზედაო
 ნიშანი: ო- ი- -ი-, -თ- -ა- ო- -ი-, -თ- -ე-

III ჯგუფისას

[ა. საშუალთ]: საარვისო სასხვისო საზედაო
 ნიშანს: ო-, ა- -ი-, -თ- -ა-

თავი მეოთხე

პრეპერბები

14. პრეპერბები არიან, მარტივნი და რთულნი.

A. მარტივნი:

ან- მო- ვი ა(ლ)-, ზედ || ზე
 ად-, ა- მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)- ჩუ || უშგ.პერ. ჩ- ქვე || ქვე, ჩა-, და-
 ეს-, ე-, ლნტ. ან- მი-, და-, წა(რ)- სგა || უშგ.ეცრ. ისგა, ლნტ. სკა შე-, შთა-/ჩა-
 ლა- შე-, შეგრ. ალა-, მი-, (წარ)- ქა გა(ნ)-. წა(რ)-

B. რთულნი:

ვი ან- → ე'ან- ა(ლ)მო-
 ვი ად- → ე'ად-, ვი ა- → ე'ა- ა(ლ)-[მი-], ზედ || ზე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-
 ვი ეს- → ე'ეს-, ვი ას- → ე'ას- ზე || ზედ: მი-, და-, წა(რ)-, ა(ლ)-
 ვი ლა- ზე შე-, ა(ლ)-
 ჩუ ან- → ჩუან- ქვე || ქვე მო-, ჩამო-, დამო-
 ჩუ ად- → ჩუად-, ჩუ ა- → ჩუა- ქვე || ქვე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
 ჩუ ეს- → ჩუეს-, ჩუ ას- → ჩუას- ქვე || ქვე: მი-, და-, წა(რ)-, (ჩა-)
 ჩუ ლა ქვე || ქვე: შე-, მი-

ისგა ან-, ად-, ა-, ეს- →

ა. უშგულურში: ისგან- უემო- ისგად-, ისგა- შე [მი-] ისგან- შე-, ჩა-
 ბ. ეცერულში: ისგან- ისგად-, ისგა- ისგან- ისგან-

სგა ან- → სგან-, ბჰვ. სგან-, ლნტ. სკა ახ → სკან- უემო-
 სგა ად → სგად-, " სგად-, " სკა ად → სკად- შე-[მი, და-, გა-, წა-]
 სგა ა- → სგა-, " სგა-, სკა ა- → სკა-
 სგა ეს- → სგეს-, " სგეს-, სკა ას- → სკას- შე-[მი-, და-], ჩა-
 სგა ლა- ლნტ. სკა ლა- შე-, მი-
 ქა ან- → ქან-, ბჰვ. ლნტ. ქან- გამო-, წამო-
 ქა ად- → ქად-, " " ქად- გა-[მი-], წა-, და-
 ქა ა- → ქა-, " " ქა-
 ქა ეს- → ქეს-, ბჰვ. ქეს-, ლნტ. ქა ას- → ქას- გა-, და-, წა-
 ქა ლა- გა-, მი-, [გა-]შე-

1. რთული პრეპერბები მარტივთა შეერთებით არიან წარმომდგარნი:
 ვი + ახ-, ჩუ + ად-, სგა + ა-, ქა + ეს-, სგა + ლა-... აღსანიშნავია, რომ პირ-

ველი ოთხი კი. ჩუ, ისგა'სკა, სკა და ქა წინდებული უკანასკნელ ოთხ ან-, ად-/ა-, ეს., ან. და ლა- პრევერბთ თავში დაერთვის, სხვა კომბინაცია, ე. ი. პირუკუ შეერთება: ან-კი, ად ჩუ, ა-სკა, ეს ქა, ან კიდევე: ან-ლა-, ად-ეს-... სვანურმა არ იცის. ეს კი საგულისხმოა სვანურ წინდებულთა ბუნების ნათელ-საყოფად.

შენიშვნა. ისგა პრევერბი დაბეჭდილ ტექსტებში ხშირად არის ნახმარი: ისგა ადსკინე ლაწკრა-ისგა (CM, X, 168₃₃; შეხტა ფანჯარაში), ი ისგა-ანჯიდ მოსავალ ქორთე (ib., 184₄; და შემოიტანა მოსავალი სახლ-ში), ჟანშებე ეშვი ხალთა ი ისგა-ესდე ამხავ... ჯიჯვარ (ib., 190₂₇₋₂₈; შეკერა ერთი ხალთა და ჩადე ამაში... ძვლები), და სხვა (ლექსიკ., გვ. 211-12)... ისგა ადეი (CM, XVIII, 115₁; შეიტანა, შეიყვანა), ი ჯაი ისგა აჩად (ib., 115₂; და თითონაც შევიდა)... ისგა როკე ლამჩედლი (CM, XXXI, 40₂₀; შესულაო), და ასე სხვა. ავტორები ნაჩვენები ტექსტებისა, ივანე და გ. ნიქარაძეები, უშვლელნი არიან, უშვლურში კი სკა წინდებულის პარალელურად ისგა'ც იხმარება: მიჩა გეზალს ისგოთდე || სგოთდე ჯად[ქ]თე (მის შეილს ჩაუდეა მუტელში), აჯალ ისგა ატიხ... კიბდ[ქ]ენ[თე]ისგა (კვლავ შეაბრუნა... კილობანში). ისგა გვევლინება აგრეთვე ეცერულ-ლახამულურში: ი ისგა ოტსკინა ლახემიტე (Зав. Г. О., XII, 470₃₁, p. 10: ი ისგოტსკინა ლაქტმითე: შემხტარა ეკლესიაში), ეტ.ლხმ. ისგაჩად (შევიდა), ლხმ. ისგა ხაფხეჟე (სტაცა), თვრ. ი ისგადგენე, მხ ხეჭუად, ეჯი ისგა ლახემ (და შეიყვანა, რაც უნდოდა, ის „შით“ მისცა (შეაწოდა), და სხვა. სკა'ს გენეზისისათვის ამათ მნიშვნელობა აქვსთ (§ 19 A 2 a).

15. პრევერბებს სვანურში ისეთივე ფუნქცია აქვსთ მინიჭებული და იგივე ადგილი უჭირავსთ, რაც მის მოძმე ენებში. ადგილმდებარეობის მხრით ისინი ყოველთვის ზმნის თავში — პირის ნიშნებისა და მაქცევართა წინ — გვევლინებთან, ხოლო ფუნქციით მიმართულებისა და ასპექტის (სახის) გამომხატველნი არიან. უკანასკნელი ფუნქცია პირველადი არ არის: იგი შედარებით გვიანდელი დანაკისრებია. ამას ამტკიცებს რიგი ზმნათა, რომელნიც უპრევერბოდაც სრული სახისად ჩანან: ხავიდ (დაარტყა), ხაყერ, ლნტ. ბეჩ. ხაყერ (უყო, დამართა), ხამნე, ავე-ლნტ. ხამნე (აჭამა), ბხ.ლნტ. ჩუმინ, ეტრ. ჩუმინ (ქნა), ბხ. რაჭქუ, ეტრ. რაჭქუ (თქვა), და სხვა. ასპექტის აღსანიშნავად წინდებული რომ აუტილებელი ყოფილიყო, მაშინ მოყვანილ მაგალითთა პერფექტული სახე გაუგებარი იქნებოდა. პრევერბთა ძირითად ფუნქციად მიმართულების ჩვენება მიგვაჩნია, რის დასადასტურებლად შემდეგს მოსაზრებას მოვიყვანთ: ა. გვაქვს (საშუალი) ზმნები, რომლებთანაც ხმარებული წინდებული ასპექტს სრულებით არ გამოხატავს:

	მიდის,		ბ.ლშ.	ეტრ.	ლნტ.
აღგრი წვა:	ან-ლრი	მო-დის	ეს-ლრი	ეს-ხრი	ას-ხრი მი-დის
	ქ'ან-ლრი	ამო-დის	ქ'ეს-ლრი	ქ'ეს-ხრი	ქ'ას-ხრი ა-დის (* აღ-მი-დის)
	ჩუან-ლრი	ჩამო-დის	ჩუეს-ლრი	ჩუეს-ლ/ხრი	ჩუას-ხრი ჩა-დის (* ჩა-მი-დის)

	ეცრ.	ბ.ლშბ.	ბ.ლშბ.	ეცრ.	ლნტ.
'ი	სგან-ლრი	სგან-ლრი	შემო-დის	სგეს-ლრი	ისგეს-ლრი
ბჭვ.	ქან-ლრი	ქან-ლრი	გამო-დის	ქეს-ლრი	ქეს-ლრი
				ქას-ლრი	ქას-ლრი
				გა-დის	გა-დის

(*შე-მი-დის) (*გა-მი-დის)

ხსვ. ა-ხლუა, ლნტ. ა-ხლუა/ე (←* ან-ხლუა/ე) მო-აქვს ეს-ლუა, ლნტ. ას-ულუა/ე
 მი-აქვს
 ხსვ. ე'ა-ხლუა ამო-აქვს — ჩუა-ხლუა ჩამო-აქვს ე'ეს-ლუა ა-აქვს — ჩუეს-ლუა
 ჩა-აქვს
 ბხ. სგან-ხლუა შემო-აქვს — ქან-ხლუა გამო-აქვს სგეს-ლუა შე-აქვს — ქეს-ლუა
 გა-აქვს

სგურ (ზის): ეი ხასგურ, ლნტ. ეი ხასკურ (ზე აზის), სვა ხასგურ, ლნტ. სკა ხას-კურ (გვერდში უზის)... და

ბ. თვით ზოგიერთი პრევერბის გენეზისი მხოლოდ მიმართულებას აქცევს ჩვენს ყურადღებას და არა ასპექტს (§ 19 A B). ანალოგიური მდგომარეობაა. არა მარტო ქართულში, როგორც ეს მაგალითების თარგმანიდანაც ჩანს, არამედ მეგრულ-ქანურსა და უცხო ენებშიც კი, მაგ., რუსულსა, გერმანულსა და სხვებში (მაგრამ საერთოდ წინდებულთა შესახებ სხვა დროსა და ადგილას ვიმსჯელებთ).

A. პრევერბები ჩვეულებრივ გამოყენებულნი არიან აწმყოს ჯგუფის მყოფადისეულ დროებში¹: მყოფადსა და პირობითში, დროთა მეროვსა და მესამე ჯგუფში (აორისტსა და მისგან ნაწარმოებ კონიუნქტივში, ნამყოსა, წინარეწარსულ ნამყოსა და კონიუნქტივში). ამ დროებში წინდებული თითქოს აუცილებელ სამკაულს წარმოადგენს ზმნებისას: უპრევერბო ზმნა შედარებით მცირეა. ამას თუ კიდევ დაემატებთ, რომ ზოგიერთ ზმნაში პრევერბი ასპექტს გამოხატავს და არა მიმართულებას, მაშინ ნათელი იქნება ჩვენთვის, თუ რატომ ვიღებთ მათ უმთავრესად სახის სისრულის მაჩვენებლად.

16. ფონეტიკური მოვლენები პრევერბებთან დაკავშირებით. ხშირი ხმარებისა და სხვადასხვა ფორმანტების მეზობლად მოხვედრისა გამო პრევერბები მთელს რიგს ცვლილებებისას განიცდიან. ზოგი რამ ძირის ნიშნებთან დაკავშირებით გვექონდა შენიშნული (§§ 3, 7). სუბ-ობიექტური თავსართები პრევერბისეულ -ნ-, -დ- და -ს- ელემენტებს რომ გვეკარგავდა, ან ცვლიდა, ეს იქვე მოყვანილი მაგალითებიდან ჩანდა (§§ 2 A 1, 3 A 4-6, 7 B). განვიხილოთ ეს უკანასკნელი უფრო ვრცლად:

A. 1. ახ- პრევერბის -ნ- ელემენტი ყოველთვის იკარგვის, თუ მას უშუალოდ მოსდევს სუბიექტური თავსართებიდან ხუ || ლნტ. მ-, ხ- (Swan. 53) ან ლ-, ან რომელიმე ობიექტურ პრეფიქსთაგანი: მ-, ჯ-, ხ-, გჷ- ან ნ-:

- 1 ბხ. ოხუ-გენ, ბჭვ. ოხ-გენ ლნტ. ე'ახუ-აგენ ←* ეი ან-ხუ-აგენ ავაყენე
- 2 ა-ხ-გენ ა-ხ-აგენ ←* ან-ხ-აგენ აყენე
- 3 ან-გენე ან-აგენე ან- აგენე აყენა
- Oi ა-ლ-გენედ, ეცრ. ო-ლ-გენედ ა-ლ-აგენედ ←* ან-ლ-აგენედ ავაყენეთ

¹) თვით აწმყოსა, ნამყოფსრულსა და კონიუნქტივ I ში წინდებულთ უმთავრესად გარდაუვალი ზნნები იყენებენ (იხ. თუნდაც ზემოთმოყვანილი შემთხვევები).

და ასე: ლნტ. *ქ'ა-მ-გრდ* ← **ქი ან-მ-გრდ* (გავზარდე), *ქ'ა-ხ-გრდ* ← **ქი ან-ხ-გრდ* (გაზარდე), ბზ. *წ-ხულდეღ*, ლშხ. *ქ'ოხ-ვლდეღ*, ლნტ. *წ-ხუ-ილდეღ* ← **ან-ხუ-ილდეღ* (მოვიწყესე), ბზ. *ქვს. ა-ლ-კედღ* ← **ან-ლ-კედღ* (მოვიდეთ)...

	ბზ. ლშხ.	ბკვ.	ლნტ.	
აიექტ წხ.	1 <i>ა-მ-მარე</i>	<i>ა-მ-მარე</i>	<i>ა-მ-ამარე</i>	← * <i>ან-მ-ამმ/არე</i> (მოამაზადა)
	2 <i>ა-ჯ-მარე</i>	<i>ა-ჯ-მარე</i>	<i>ა-ჯ-ამარე</i>	← * <i>ან-ჯ-ამმ/არე</i> (მოგამაზადა)
	3 <i>ან-მარე</i>	<i>ან-მარე</i>	<i>ან-ამარე</i>	(მოამაზადა)
	<i>Oi ო-გუ-მარე</i> } ლშხ.	<i>ო-გ-მარე</i>	<i>ა-გუ-ამარე</i>	← * <i>ან-გუ-ამმ/არე</i> (მოგვამაზადა)
	<i>Oe ა-ნ-მარე</i> } ო-გ-მარე	<i>ა-ნ-მარე</i>		

და ასე: ხსვ. *ა-ხ-თიშ*, ლშხ. *ა-ხ-თიშე*, ლნტ. *ა-ხ-ათიშ* ← **ან-ხ-ათიშე* (ამოარჩია), *წ-მ-ქეს*, ლშხ. *ე-მ-ქეს* ← **ან-მ-იქეს* (მომივიდეღს), ლნტ. *ქ'ა-გურდე* ← **ქი ან-გუ-გრდე* (გავგზარდა), და სხვა მრავალი (შდ. ბკვ. *ონ-ქაჩ* ← ლნტ. *ან-ტ-ქაჩ* (მოვკერი), *ან-ქაჩ* (მოკერი), *ან-ქაჩ*, ლშხ. *ანქაჩე* (მოკრა).

2. ად-წინდებულის -დ- I და II პირის ობიექტურ პრეფიქსებთან, *Si* ლ-თავსართთან და ლნტ. *Si* მ-სთან არა ჩანს, ხოლო სუბიექტის I და II პირში და რელატიურ-გარდაუვალ და ორობიექტიან (გარდამავალ) ზმნათა III პირში ყოველთვის¹ -თ-ს სახით გვევლინება (§§ 1 C, 4 C):

1	<i>ოთ-მეჩ</i>	← ლნტ. <i>ათუ-ამეჩ</i>	<i>დავაბეჩე</i>	<i>ა-მ-მეჩე</i> (ხსვ.)	← * <i>ად-მ-ამეჩე</i> (დამაბერა)
2	<i>ათ-მეჩ</i>	←	<i>ათ-ამეჩ</i>	<i>ა-ჯ-მეჩე</i>	← * <i>ად-ჯ-ამეჩე</i> (დავაბერა)
3	<i>ად-მეჩე</i>	←	<i>ად-ამეჩე</i>	<i>ად-მეჩე</i>	(დააბერა)
Si	<i>ა-ლ-მეჩედ</i>	←	<i>ა-ლ-ამეჩედ</i>	ბზ. <i>ო-გუ-მეჩე</i>	დარ. ლშხ. <i>ო-გ-მეჩე</i> (დავაბერა)
ბკვ.	<i>ო-ლ-მეჩედ</i>			ხსვ. <i>ა-ნ-მეჩე</i>	← * <i>ად-ნ-ამეჩე</i>

და ასე: ლნტ. *ჩუა-მ-გრმ* ← **ჩუ ად-მ-გრმ* (§ 2 A 2, შდ. *ჩუათურმ* ← **ჩუ ათუ-გრმ*) (დავიჭირე), ბზ. *ქვს. ჩუა-მ-გრმე* ← **ჩუ ად-მ-გრმე* (დამიჭირა), ბზ. *ოგუ-ზგზე*, ლშხ. *ოგ-ზგზე* ← **ად-გუ-ზგზე* (გავგავზაენა), ბზ. ლშხ. *ა-ლ-ხატუედ*, ბკვ. *ო-ლ-ხატუედ*, ლნტ. *ა-ლ-ახატუუედ* ← **ად-ლ-ახატუუედ* (დავხატეთ)...

3. ეს-პრევერბის -ს-² ელემენტით, როგორც ად-წინდებულის -დ-, იკარგვის იმავე I და II პირის ობიექტურ თავსართებთან და *Si*-ს ნიშანთან (Swan. 54), სხვა შემთხვევაში კი უცვლელადაა შენახული:

